საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვული სიფაქვაა, ფაქიზებით და ჭირებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარგისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 26 ივლისი. 2019 წ. №151 (8817) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

„ნაცები“ ნიღაბს ამოფარებული ანტი-ევროპელები არიან

„ნაცები“ არიან ნიღაბს ამოფარებული ანტიევროპელები“, — ასე უწოდებს დირიჟორი **გიორგი ჭიჭინაძე** „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს.

მისი თქმით, როდესაც „ნაცები“ ევროპულ ღირებულებებზე საუბრობენ, მათ წარმოდგენა არ აქვთ, თუ რა არის ევროპული ფასეულობები: **„ვინ დაშალა და დახურა?! გაიხსენეთ, „ნაციონალური მოძრაობისგან“ ტელეკომპანია „იმედის“ დახურვა, ერთმანეთს შეადარეთ მათი ტელევიზიაში შტურმით შევარდნა და პაატა სალიას ტელევიზიაში მისვლა... ახლა სრულიად სხვა ვითარებაა, ვიცით, წინა ხელისუფლების პირობებში ქონებას როგორ ართმევდნენ ადამიანებს, ქიბარ ხალვაშსაც წაართვეს და ახლა დაუბრუნდა! თან საქართველოს კი არა, სტრასბურგის სასამართლომ დაუბრუნა და საერთოდ რა არის მსჯელობის საგანი, ვერ ვხვდები! არიქა, 2-ოთახიანი „ხრუშჩოვკასავით“ ერთ დღეში გადაუფორმესო... დიახაც, უზარმაზარი ქონების გადაფორმებაც ერთ დღეში უნდა იყოს შესაძლებელი! როცა „ნაცები“ ევროპულ ღირებულებებზე ლაპარაკობენ, მიჩნდება განცდა, ჟარგონზე რომ ვთქვა, გარტყმაში, ბაიბურში არ არიან რა არის ევროპული ფასეულობები! ევროპელი ადამიანი როგორ იქცევა, არასოდეს უნახავთ! ესენი არიან ნიღაბს ამოფარებული ანტიევროპელები“,** — აცხადებს გიორგი ჭიჭინაძე „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში.

ბუზი არავინ აუფრინოს ეკა კვესიტაძის მეუღლეს, თორემ!

შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის შოთა უტიაშვილის სახლთან გუშინ ხმაურიანი აქცია გაიმართა. შეკრებილები საყვირებით და მეგაფონებით იყვნენ „შეიარაღებულნი“. შეკრებილები აცხადებდნენ, რომ უტიაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სტატუსის გამო, რომელიც აგვისტოს ომს შეეხებოდა. ამ აქციასთან დაკავშირებით ეკა კვესიტაძემ, რომელიც უტიაშვილის მეუღლეა, სოციალურ ქსელში სტატუსი დაწერა და შსს-ს ვითარების განმუხტვისკენ მოუწოდა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო / Ministry of 6nternal Affairs of Georgia ახლავე მოაშორეთ ჩემი სახლიდან ყანდიაშვილის შავბნელი რაზმი, რომლებმაც ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენეს და ბავშვები შემიშინეს. ფსკერს ნუ ხვრეტთ. სირცხვილია, პატრული გამოძახებული მყავს და როგორ რეაგირებას მოახდენთ, ახლა დაგაკვირდებით“.

ამას გარდა, ეკა კვესიტაძემ გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს რეაგირებისკენ მოუწოდა. ასევე, „რუსთავი-2“-ის ტელეწამყვანი და ჟურნალისტი დიპლომატიური კორპუსის საქმის კურსში ჩაყენებას ითხოვდა. როგორც ის სოციალურ ქსელში წერს, აქციას განიხილავს, როგორც ხელისუფლების ზეწოლას მის, როგორც „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტის მიმართ.

თუ ვინმე ამ ხელისუფლებაში ფიქრობს, რომ ასე გამტეხავს, ძალიან ცდება. გთხოვთ, მოახდინოთ რეაგირება Eka Gigauri, Mikheil Benidze, Giorgi Mshvenieradze და განსაკუთრებით სახალხო დამცველს Nino Lomjaria, გთხოვ შეატყობინე ელჩებს, Nino Nakashidze, გთხოვ შეატყობინო ყველა საელჩოს“, — დაწერა ეკა კვესიტაძემ.

* * *

ნაცისტი და თავხედი ჟურნალისტის ამ ბოდვას კომენტარი აღარ სჭირდება. უბრალოდ ვიტყვით: მართლა რას დაგამსგავსათ მიშასა და გვარამიას საფლავში ჩაყოლის სურვილმა, ცოდვილო ჟურნალისტო! შუბლის ძარღვი ბოლომდე გაიწყვიტეთ?!

ბიძინას ბიძინასგან

არამზადების გალერეა

პოლიტიკური პორტრეტები „სხვა რაკურსით“

„ძვა ძვაზე ნუ დარჩენილა, როგორც ჩვენ გვინდა, ისე თუ არ იძნებაო“! — და ხელისუფლებისა და კანონის პასიურობის ფონზე, ამ საქმეში „დიდ წარმატებებსაც“ აღწევენ წინამდებარე წერილის მაღალსტატუსიანი „გმირები“. ღმერთო მაღალო, საიდან, ან რატომ უნდა დაგროვილიყო ამდენი ღვარძლი და ბოღმა, ამდენი სიძულვილი, ამდენი ნაგავი და ჭუჭყი ამ, შენი კურთხევით ბოძებულ, ღვთისმშობლის წილხვედრ „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ“ ქვეყანაში?!.

ბატონო ბიძინა, სრულიად სხვა რაკურსით მინდა დაგანახოთ თქვენ, „ქართულ ოცნებას“ და საზოგადოებას, რა შინაურ მტერთან გვაქვს საქმე (მოვლენებს ცოტა იუმორის თვალით თუ არ შეხედე, შეიძლება, გული გაგისკდეს). **წერილში იმ პერსონაჟებს წარმოგიდგენთ, რომელთაც თავი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები ჰგონიათ, სინამდვილეში კი, ყველა გაგებით უსამშობლო და ყველაფრის მკადრებელი სააკაშვილისა და ყველა გაგებით უსახო და ასევე, ყველაფრის მკადრებელი გვარამიას (შკლიაროვების მიერ ნაკარნახევი) განკარგულებების მოლოდინში ჩაბუდებულან მეორე პლანზე, მასის წინ, და რომელთა გამაერთიანებელი მიზანიც ქვეყნისთვის, რომლის მიმართაც სამშობლოს განცდა არ გააჩნიათ, რაც შეიძლება მეტი ზიანის მოტანაა** (უჰ, გრძელი წინადადება გამომივიდა, მაგრამ სრულყოფილი).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებამ პოლიტიკურ წრეებში დიდი ვნებათაღელვა და ხშირ შემთხვევაში, ზღვარს გადასული ემოციები გამოიწვია. ნიჭიერი და არც თუ ნიჭიერი, მაგრამ დაკვირვებული ლიტერატორები თავისი ახალი ნაწარმოებებისთვის მრავალ საინტერესო სახესა და ხასიათს აღმოაჩენდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკასთან საკმაოდ გაშინაურებული გახლავართ, **ცნობად პოლიტიკურ სახეებში, ამ შემთხვევაში ვიტყოდი — პორტრეტებში, მეც ბევრი ახალი შტრიხი დავინახე, ან ახლებურად დავინახე, ან უფრო მკაფიოდ დავინახე, ხოლო ზოგიერთ (ძალზე იშვიათ) შემთხვევაში, ვეღარ დავინახე ის, რასაც მანამდე ვხედავდი.**

სამწუხაროდ, მხატვრული სიტყვის ოსტატი არ ვარ, ამიტომ შევეცდები პუბლიცისტის (ბოლო დროს, გასაგები მიზეზების გამო, ძალიან მიძნელდება ამ სიტყვასთან მიახლოება, მაგრამ ჩემი „როლისთვის“ სხვა შესატყვისი ჯერ ვერ ვიპოვე და ღმერთმა მაპატიოს) პოზიციიდან რამდენიმე დაკვირვება გაგიზიაროთ:

იხ. 3 გვ.

ირაკლი ოქრუაშვილს „თავი წააჭრეს“ და მასთან ერთად კიდევ ოთხი პირი დაიჭირეს

ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის და მასში მონაწილეობის ბრალდებით, დაკავებულია ირაკლი ოქრუაშვილი. ამასთან, დღეს შსს-მ კიდევ ოთხი პირი დააკავა. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მამუკა ჭელიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობის და მასში მონაწილეობის ფაქტზე, დაკავებულია ირაკლი ოქრუაშვილი.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ პარლამენტის შენობაზე მიტანილი ძალადობრივი შტურმის დროს, ირაკლი ოქრუაშვილი, თანმხლებ პირებთან ერთად, მოუწოდებდა აქციის მონაწილეებს და თავადაც ცდილობდა პარლამენტის შენობაში ძალადობრივ შეჭრას. ასევე, ირაკლი ოქრუაშვილი მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ჯგუფურ ძალადობრივ მოქმედებებში.

ასევე, აღნიშნული გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სამართალდამცველებმა დღეს კიდევ ოთხი პირი დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების დროს, მონაწილეობდნენ ჯგუფურ ძალადობაში, პოლიციელებზე თავდასხმაში და ორგანიზებულად, შტურმით ცდილობდნენ პარლამენტის შენობაში შეჭრას.

აღსანიშნავია, რომ აქციაზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით, პასუხისგებაში მიცემულია 17 პირი, მათ შორის პარლამენტის წევრი — ნიკანორ მელია, რომელსაც ბრალი ედება ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობასა და მასში მონაწილეობაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ინტენსიურად აგრძელებს გამოძიებას 20-21 ივნისს პარლამენტის წინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე და 315-ე მუხლებით. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გამოძიების შედეგების შესახებ საზოგადოებას ეტაპობრივად მივაწვდით ინფორმაციას“, — განაცხადეს შსს-ში.

მამუკა ბახტაძემ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონებს უმასპინძლა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონებს — ექვსი წლის დავით თათვიძეს და ცხრა წლის კესარია მგელაძეს უმასპინძლა, რომლებმაც ტიტული რუმინეთის ქალაქ მამაიაში გამართულ ჩემპიონატზე მოიპოვეს.

მამუკა ბახტაძემ მოჭადრაკეებს წარმატებები მიულოცა და აღნიშნა, რომ მათი მიღწევებით მთელი საქართველო ამაყობს.

„საქართველო არის ჩემპიონების და ყველაზე ნიჭიერი ადამიანების სამშობლო და კესარიას და დათოს მიღწევები სწორედ ამის მაგალითია. განათლების რეფორმის ფარგლებში ჩვენს სკოლებში უნდა აღვადგინოთ ის ტრადიცია, რომ ბავშვები აქტიურად იყვნენ ჩართული ჭადრაკში. იმ საზოგადოებაში, სადაც ჭადრაკი პოპულარულია, ადამიანური კაპიტალიც და ნიჭიც ყველაზე მეტად ვითარდება“, — განაცხადა პრემიერმა. მთავრობის მეთაურმა ქუთაისისა და ბათუმის დიდ საჭადრაკო ტრადიციებზე გაამახვილა ყურადღება და ქუთაისელი დავით თათვიძისა და ბათუმელი კესარია მგელაძის მშობლებსა და მწვრთნელებს მადლობა გადაუხადა. პრემიერ-მინისტრმა პატარა ჩემპიონებს წარმატებები უსურვა ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე ჭადრაკში, რომელიც ქალაქ ბრატისლავაში პირველ აგვისტოს დაიწყება.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრა ჩეხეთის ახალ ელჩთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ჩეხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ პეტრ მიკისკას გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე უმასპინძლა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურს ინფორმაციით, საუბრის მთავარი თემები იყო საქართველო-ჩეხეთის ორმხრივი ურთიერთობები და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე თანამშრომლობა.

ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ და მაღალი დონის პოლიტიკურ კავშირებს და იმ პრაქტიკულ და ფინანსურ დახმარებას, რომელსაც საქართველო ჩეხეთისგან განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში იღებს.



ყურადღება გამახვილდა სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის განვითარების კუთხით არსებულ პოტენციალზე და ამ მხრივ ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი კომისიის საქმიანობის როლზე, რომლის მორიგი სხდომის გამართვა მიმდინარე წლის ბოლომდე პრაღაში იგეგმება. აღინიშნა რეგულარული პირდაპირი ავიარეისების მნიშვნელობა, რაც ხალხთაშორისი კონტაქტებისა და ბიზნესკავშირების კიდევ უფრო გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. საუბრისას დადებითად შეფასდა თანამშრომლობა სამართალდაცვით და თავდაცვის სფეროში, ასევე განათლებისა და კულტურის მიმართულებით. მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ქართული მხარე აფასებს ჩეხეთის მიერ ქართველი სტუდენტებისთვის სტიპენდიების დაწესებას პრაღაში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სასწავლებლად.

პრეზიდენტი ნუშისა და ლავანდის პლანტაციებს ესტუმრა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საგარეჯოს რაიონში ნუშისა და სიღნაღის რაიონში ნუკრიანის ლავანდის პლანტაციები დაათვალიერა. ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, პლანტაციებს პრეზიდენტი მცირე და საშუალო აგროპროექტების განვითარების მხარდაჭერის ფარგლებში ესტუმრა და აღნიშნა, რომ საქართველოს ყველა რეგიონს სხვადასხვა მიმართულებების თვალსაზრისით, განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია, რომელსაც ათვისება სჭირდება.

ევროპაში ყველაზე დიდი ნუშის პლანტაცია კახეთში „აჭარა გრუპის“ 40-მილიონიან ინვესტიციას წარმოადგენს და ის 2017 წელს 2 000 ჰექტარზე გაშენდა. აგროპროექტში „უდაბნო“ 500 ადგილობრივია დასაქმებული. ინვესტორები სამომავლოდ აგროტურიზმის განვითარებასაც გეგმავენ. საქართველოს პრეზიდენტმა სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში ლავანდის პლანტაცია დაათვალიერა, რომელიც ადგილობრივი ინვესტიციით 2015 წელს გაშენდა კახეთისთვის არატრადიციული და უცხო კულტურა. განსაკუთრებული სილამაზის ლავანდის ბაღების გამო ნუკრიანი ტურისტებისთვის ერთ-ერთ მიმზიდველ ლოკაციად იქცა.

ჩვენი გამაჯანსაღებელი კურორტები და ევროპელი დამსვენებლები

ქვეყანაში სამედიცინო და სარეაბილიტაციო ტურიზმის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი უჯარმისა და ახტალის კურორტებს ესტუმრა.

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველო მდიდარია ასეთი კურორტებით და მხოლოდ გურჯაანის რაიონში 44 სხვადასხვა სამკურნალო წყალია, რაც ადასტურებს საქართველოსთვის თერმულ წყლებთან დაკავშირებული საკურორტო ზონების განვითარების მნიშვნელობას იმისთვის, რომ მათგან ეკონომიკური სარგებელი მივიღოთ.

„გამაჯანსაღებელი კურორტების თვალსაზრისით, საქართველოს შეუძლია, გახდეს ევროპისთვის ძალიან მიმზიდველი ქვეყანა, სადაც შეიძლება ჩამოხვიდე არა მხოლოდ დასასვენებლად, არამედ გასაჯანსაღებლად“, — განაცხადა პრეზიდენტმა. სალომე ზურაბიშვილის თქმით, საქართველო უკვე ევროპული ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციაშია გაერთიანებული და არსებობს შესაბამისი ტურისტული გზებიც.

„ეს ჩვენი ერთ-ერთი სერიოზული რესურსია, რომელიც უნდა მაქსიმალურად შევინარჩუნოთ და ავითვისოთ. ამაზე უნდა ვზრუნავდეთ ყველა, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება“, — თქვა სალომე ზურაბიშვილმა.

მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ თანამდებობები დატოვეს

„თიბისი ბანკის ჯგუფი“ ადასტურებს, რომ 24 ივლისს საქართველოს პროკურატურის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, ჯგუფის თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძემ და მისმა მოადგილე ბადრი ჯაფარიძემ მიიღეს გადაწყვეტილება, დაეტოვებინათ დაკავებული თანამდებობები, — ამის შესახებ „თიბისი ბანკის ჯგუფის“ განცხადებაშია აღნიშნული.

„ისინი ამ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ, რათა მათ წინაშე წაყენებულმა ბრალდებებმა არ იქონიოს გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე, ხოლო თავად კი, თავისუფლად შეძლონ დავის გაგრძელება.

ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი თავის მხრივ, მადლობას უხდის მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს მათი უნიკალური როლისთვის, დაეარსებინათ „თიბისი ბანკი“ რთულ 90-იან წლებში. ასევე, თავიანთი უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილისათვის ბანკის წარმატებით განვითარებაში და მის გადაქცევაში ერთ-ერთ უდიდეს და რესპექტაბელურ კომპანიად სამხრეთ კავკასიაში“, — აცხადებს „თიბისი ბანკის ჯგუფი“.

ამასთან, განცხადებაში აღნიშნულია, რომ მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე შეეცდებიან, კვლავ შეუერთდნენ „თიბისი ბანკის ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს, მას შემდეგ, რაც ბრალდებები მათ წინააღმდეგ გაქარწყლდება.

ბიძინას ბიძინასგან

პოლიტიკური პორტრეტები „სხვა რაკურსით“

(პირველი გვერდიდან)

1) გია ბარამიძე – პირველად 80-90-იანი წლების მიჯნაზე, როგორც „მწვანეების“ მედროშემ, მიიპყრო გარშემო მყოფთა ყურადღება. უფრო სწორად, ჯერ მხატვრული თვალსაზრისით ძალიან დახვეწილმა დროშამ მიიპყრო ყურადღება, რასაც მოჰყვა ბუნებრივი შეკითხვა – „ვინ არის ეს „ბედნიერი“ სახის ბიჭიო?“გუშინდელივით მახსოვს კითხვაზე პასუხი – „კარგი გულის ბიჭია, მაგრამ თავის რა მოგახსენოთო“.

მას შემდეგ, რაც უფრო იზრდებოდა „ბიჭის“ პასუხისმგებლობა, „თავის“ ფუნქცია, საერთო აღიარებით, მით უფრო კლებულობდა, ანუ **„თავის“ ფუნქცია პასუხისმგებლობასთან მუდამ და უწყვეტად უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში იყო**. საინტერესო ისაა, რომ ეს ამბავი დიდად არავის აწუხებდა, არც შინაურს და არც გარეშეს, რადგან ყველა კარგად ხვდებოდა, რომ პასუხისმგებლობა, როგორც ასეთი, მხოლოდ სტატუსს გულისხმობდა და მის უკან რაიმე გადაწყვეტილების ვალდებულება არ იკითხებოდა.

ასე იყო მის ბიოგრაფიაში ერთადერთი „გასახსენებელი“ საქმის, აფრასიძეების ოჯახის განადგურების ნაცსპეცოპერაციასთან დაკავშირებითაც. საზოგადოების რისხვა მთლიანად სააკაშვილისა და მერაბიშვილ-ადეიშვილისკენ იყო მიმართული, ხოლო **„ოპერაციის“ ფორმალურ ხელმძღვანელზე ამბობდნენ – „ვერც კი ხვდება რა გააკეთებინეს, თორემ ცოტა აზრზე რომ იყოს, გადაბუგულ სახლთან და ჯერ არგაცივებულ ცხედრებთან კუბდარს რა შეაჭმევდაო“**. ამ შეფასების მოკლე ვერსია ასე ჟღერდა ? „გაბრიყვეს ეს უბედურიო“.

„კარიერის“ დასაწყისის დროინდელმა დახასიათებამ – „ალალი და გულუბრყვილო“ – თანდათან, საკმაოდ მოკლე დროში, სახე იცვალა და საბოლოოდ ასეთი შინაარსი შეიძინა – „ეს ხომ ბრიყვია“, „აუ, რა ჩლუნგია“, „ნამდვილი შეშაა“ და ა.შ. ერთი სიტყვით, მის ყოველ გამოჩენას, აკომპანემენტის სახით მუდამ თან ახლდა ამ სამი ძირითადი სიტყვის სხვადასხვა კომბინაცია. პრობლემა დღესაც აშკარად სახეზეა, მიუხედავად იმისა, რომ ამ „საყოველთაო-სახალხო“ თიკუნების ადრესატი ამას ვერც გრძნობს და ვერც აცნობიერებს და ძველი გულმოდგინებით აგრძელებს კედელში შუბლით ლურსმნების ჩაჭედებას. მაგრამ **გია ბარამიძის მთავარ პრობლემად მაინც ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ დროთა განმავლობაში, მისი გულიც გონების ტალღაზე გადაერთო და ბოლოს მთლიანად შეერწყა.**

ყოფილი „ალალი და გულუბრყვილო“, ხოლო დღეის მონაცემებით – თვალსაზისაცემად „ბრიყვი, რეგვენი და შეშა“, ყველაფრის მკადრებელ „კოლეგებს“ შორისაც კი, მართლაც გამორჩეული იყო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებაში(!). „ჭკუა და გამოცდილება“ მაინც რა არის, არა?! ათასობით კილომეტრის იქით, „გონების თვალით“, არ გინდა დაინახო „ოლიგარქის ფულები და პუტინის შესაბამისი გავლენები?!“ ეს სიტყვა „შესაბამისი“ მაინც რამ მოაძებნინა, ჰა?! ბრავო, გია... ბრავისიმო-ო!.. (ვაი ჩვენი ბრალი...)

2) დავით ბაქრაძე – ბარამიძესთან ყველაზე ახლოს მაინც ბაქრაძე მივიდა. ალბათ, ეს არც არის გასაკვირი. ამ ორი „პოლიტიკოსის“ ბიოგრაფიების ზედაპირული შედარებაც კი უტყუარად მიგიყვანთ მსგავსების მთავარ ნიშნამდე – **ერთსაც და მეორესაც არასდროს არსად არავინ არაფერს ეკითხებოდა**. ფორმალურად ქვეყნის მეორე პირი, გავლენებით ორმოცდაათშიც ვერ ახერხებდა „თავის შეყოფას“. მისი როლი ყველა დროში და ყველა სტატუსში ისე ფასდებოდა, როგორც ჯიჯი ბუფონის სათადარიგო მეკარის როლი – „სკამს ხეხავს“. ამიტომ, **სწორედაც რომ ზედგამოჭრილი იყო კონსტიტუციის მიღმა დარჩენილი პარლამენტის თავმჯდომარისთვის თიკუნები – „ნოტარიუსი“, „ცარიელი ადგილი“, „სრული არარაობა“.**

დავით ბაქრაძეს „ისტორიულ წყაროებში“, უფრო ხშირად, მაინც **„ჩანგალას“ მეტსახელით მოიხსენიებენ ხოლმე**. რა დამავიწყებს აგვისტოს იმ მძიმე დღეს ტელეეკრანთან ჩემთან ერთად ბოლო იმედს ჩაჭიდებული ჩემი მეზობლის, ბატონი გოგის სასოწარკვეთილებამდე მისულ გამომეტყველებას და კბილებში მწარედ გაცრილ მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელ ფრაზას – „ნახე, რა თქვა ამ ყელმოღერებულმაო?!“ (ბატონი გოგი კულტურული კაცია).

ჩვენი ისტორიის იმ ერთ-ერთი უმძიმესი დღის შემდეგ, **ერთ არსად შერწყმული ორი სიტყვა – „დავით ბაქრაძე“ – ქუჩური პოეზიის მარგალიტებში, სხვადასხვა ბრუნვაში, ყველაზე ხმარებად („მიშას“ და „კურდღლის“ შემდეგ) სიტყვებად იქცნენ**. ცნობისთვის, იმ შოკის ეფექტის მქონე „კოკასა შიგან გადმოდინებულზეა“ აღმოცენებული ცნობილი ქართული ანდაზის სრულიად ხალხური პერიფრაზი – „ტანკისგან შეშინებული, ჩანგალს ჩაებღაუჭაო“.

ჩვენი განხილვის ობიექტი სუფრის ამ ერთ უწყინარ, მაგრამ მნიშვნელოვან ატრიბუტთან უფრო ფართო მნიშვნელობითაც არის დაკავშირებული: **ძველად, თბილისში, წვეულებაზე დაუპატიჟებლად მისულ სტუმრებზე იტყოდნენ ხოლმე – „ჩანგალზე მოვიდაო“. დავით ბაქრაძის მოხვედრას (მოვლინებას) პოლიტიკაში მართლაც სხვა რა უნდა დაერქვას, თუ არა „ჩანგალზე ყოფნა“?**

რაც შეეხება ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას... თუ დავით ბაქრაძე არ ხარ, როგორ გინდა მოაქციო ცივილიზაციის მონაპოვარი ორი ერთმანეთისგან გამომდინარე და ერთმანეთისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფასეულობა ასეთ კონტექსტში – **„სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ეს (სამართლიანი) გადაწყვეტილება საფრთხის შემცველია და ცუდია ქართული დემოკრატიისთვის“**. როგორია, ჰა! ეს კაცი პირდაპირ „შოკური ეფექტების“ დიდოსტატია.

ბატონი დავითისგან ქვეყნის ბედზე მოფიქრალი გამომეტყველებით „ცოდნის ფრქვევა“ ამით მხოლოდ იწყება, რასაც შემდეგ ახალ-ახალი „პოლიტსამართლებრივი“ ბრილიანტები მოსდევს: „წულუკიანის ვალდებულებაა, არ დაარეგისტრიროს ქიბარ ხალვაშის არც ერთი გადაწყვეტილება“. **ჰეი, შენ ჩვენო სააკაშვილის ბოლშევიკურ-ნაცისტური აზროვნებიდან ვერგამოსულო, წულუკიანის ვალდებულებას ამ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება(!)** და სწორედ რომ ამ გადაწყვეტილების ძალით, **საკუთრების უფლებაღდგენილი** ქიბარ ხალვაშის ნება(!).

პატარა ექსკურსი 90-იანებში – იმ დროში, როცა მიხეილ სააკაშვილი „მოქალაქეთა კავშირის“ უმრავლესობის ლიდერი იყო, მის ერთ თანაპარტიელს, კახეთის ერთ-ერთი რაიონის გამგებელს, ყოფილ რაიკომის მდივანს კაბინეტში სასამართლოს განჩინება შეუტანეს, რომელიც აღიარებდა კონკრეტული კერძო პირის საკუთრების უფლებას გარკვეულ ობიექტზე. რაიონის მდივან-გამგებელმა, როგორ ფიქრობთ, რა ქნა? სწორედ რომ ის „ქნა“, რასაც დღეს იზამდა ჩვენი „დემოკრატიის ერთგული მცველი – ჩანგალა“, ამის საშუალება რომ ჰქონოდა – სასამართლოს გადაწყვეტილებას დაადო რეზოლუცია – „არ ვეთანხმები“(!)

გაიგეთ, ქალბატონო თეა?! გამოიყენეთ ეს ფაქტი, როგორც პრეცედენტი და როგორც ქუთაისის „ტორპედოს“ ერთი კოლორიტული გულშემატკივარი იტყოდა – „ვინ კითხავს სუდიას, დარტყით პენალი“(!).

ბატონი დავითი, როგორც „პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსი“, იქვე, მოთხოვნის მოტივსაც „განმარტავს“ – **„რუსთავი-2“-ს ნუ წაართმევთ სტრასბურგის დიდ პალატაში გასაჩივრების უფლებას“**. როგორი გულისშემძვრელია, არა?! ციც, ბატონო დავით, ასეთი მოკლეფეხიანი ტყუილი თქვენი „ბიოგრაფიის“ კაცსაც არ ეკადრება.

სამართალთან შორს მყოფი ადამიანისთვის, ერთი წაკითხვით, შეიძლება ძნელი გასაგები იყოს ვირეშმაკობის არსი, მაგრამ განა შუბი ხალთაში დაიმალება? ე.წ. „მოთხოვნის“ ქვეტექსტი რამდენიმე წინადადებაში იშიფრება, მაგრამ ვიდრე ფრჩხილებს გავხსნიდე, ჯერ გასაჩივრების უფლებაზე ვიტყვი:

დედამიწის ზურგზე თუ კი დარჩა ვინმე (ჩრდილოეთ კორეელები ნუ გამომეხმაურებიან!), ბაქრაძისა და ბარამიძის გარდა, ვისაც ამის ახსნა სჭირდება, არ დავზარდები და ვეტყვი: **ჩვენი იუსტიციის მინისტრი ერთდროულად რომ იყოს – დონალდ ტრამპი, სი ძინპინი, ანგელა მერკელი, ვლადიმერ პუტინი, ანტონიუ გუტერეში და ახლად არჩეული ურსულა ფონ დერ ლაიენი – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას წინ მაინც ვერ აღუდგებოდა, გასაჩივრების უფლებას ვერ დაბლოკავდა**.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოფილი „ნოტარიუსის“ იმიტირებული ზრუნვის საგანი არა გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფაა (სურვილის შემთხვევაში, სხვა ორი მომჩივანი, ყარამანაშვილები და მათი ფირმა გააკეთებენ ამას), არამედ ამ უფლების (ჰოი, საოცრებავ) „რუსთავი-2“-სთვის შენარჩუნება. უფრო ფართოდ რომ გავხსნათ ფრჩხილები, **„კანტორის“** (იმავე მოთხოვნას ბოკერიაც ახმოვანებდა) **სურვილია, გასაჩივრების უფლების სამი თვის და შემდეგ, საჩივრის განხილვის არანაკლებ ერთი წლის ვადით, ტელევიზია ისევ სააკაშვილი-გვარამიას საბოგინო ადგილი იყოს.**

ჩემო მკითხველო, დამეთანხმები, ამ „ობიექტს“ ბარამიძის ერთ-ორ მეტსახელსაც თამამად გადაუნაწილებდა კაცი...

ზემოთ სიტყვა „იმიტირებული“ ვახსენე... თეა წულუკიანს „მოთხოვნის დაკმაყოფილების“ არა თუ პრაქტიკული, თეორიული შესაძლებლობაც კი არ გააჩნია(!). **მაშ, რა უნდა ყოფილიყო ამ მაღალსტატუსიანი გვამების (ბარამიძის, ბაქრაძის, ბოკერიას და კიდევ სხვათა და სხვათა) „უეცარი გასხივოსნებების“ ნამდვილი მიზეზი?**

იმ ავადსახსენებელ პარტიაში ასეთი მოცემულობაა – **ყველა „ჭეშმარიტი ნაცი“, ბელადის და მისი რწმუნებული გვარამიას წინაშე, მუდმივ რეჟიმში, უნდა ამტკიცებდეს, რომ სხვა „ნაცზე“ მეტი თუ არა, არანაკლები „ნაცია“. შეფასების კრიტერიუმი და საზომი კი კადრების უნარია, ანუ რამდენის კადრება შეგიძლია**. ეს არის მთელი ფილოსოფია და ალია-ბალია. არ იკადრებ და... წინ წყალი, უკან მეწყერი. წინ, კარზე მომდგარი არჩევნების შესავსები სიაა, ხოლო უკან – „ოქროს ფონდებში (კასრებში)“ საიმედოდ გადანახული კომპრომატები.

3) ოთარ კახხხხხიძე – მარად უკმაყოფილოდ გაკვირვებულსახიან ოთოს, ნაცსტანდარტების კუთხით თუ შევხედავთ, ერთი „ავი ზნე“ დასჩემდა: პერიოდულად შეაწუხებს ხოლმე პროფესიული სინდისი და თითქოს მანამდე ტყუილი და დემაგოგია არ უკადრიაო, იწყებს ობიექტური შეფასებების კეთებას.

ჯერ იყო და 20 ივნისის საქმეზე ისედაც შავ დღეში მყოფ „შტურმავიკ“ მელიას, პირდაპირ ბეჭებს შორის დააჭედა – **„პოლიტიკურად უპასუხისმგებლო, მიზანშეუწონელი, შეცდომა და არასწორი საქციელი“** ჩაიდინეო, რაზედაც ბარამიძემ შეუთვალა, „ოთო, ვერ გავიგე და აბა კარგად ახსენიო“ (კი არ დამუქრებია, მართლა ვერ გაიგო, მაგრამ „გამოცდილებამ უკარნახა“, რომ კარგი არაფერი უნდა ყოფილიყო).

სამაგიეროდ, ბელადისნაცვალმა, რევკომის თავმჯდომარემ და „იმ ერთადერთის“ გარდა, ყველას და ყველაფრის დირექტორმა გვარამიამ გაიგო კარგად „რა“ და „როგორ“ და დღემდე მოუკითხავი „პირდაპირობით“, სრულიად საჯაროდ, გამოუტანა „მორალური“ განაჩენი – **კოლეგის შემოკლებულ სამასაოიან სახელს, მას და მის ფავორიტ გაბუნიას მუდამ ენაზე რომ ადგათ, იმის სამასაოიანი სახელი მიაბა და... ვეჭვობ, რომ „მგლის ბილეთიც“ იქვე გამოუწერა.**

ბოკერიამ, როგორც ნაცმენშევიკური ფრთის ლიდერმა, ერთი პირობა კი სცადა „უადგილოდ და უდროოდ გაწესიერებული“ თანაგუნდელის დაცვა, მაგრამ საჭირო სიტყვების ძებნაში იმდენი იწრიალა, იმდენი იწრიალა, რომ მაგრად გაიბლანდა და უნებლიეთ, მეორე გასროლაც მიაყოლა მაჯამონიშნულ მელიას ისევ ზურგის არეში – **„უპასუხისმგებლო იყო, აბა რა იყოო“**. რის შემდეგაც, „დიდი ავტორიტეტის“ თანადგომით გულმოცემულმა ოთომ, პარლამენტში შეჭრის კი არა, საქათმეში შეპარვის მსურველ მელიასაც რომ ვერ გაიმეტებ ისე, „კანტროლკის“ ტოლფასი მესამეც დააწია – **„პარლამენტში ამდენი ხალხის „მშვიდობიანად“** (ბრჭყალები კახიძისაა) **შესვლის მოწოდება მისაღებიაო?“**

გავიდა მცირე ხანი და ახლა 18 ივლისის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სიტყვასიტყვით ჩაუმარცვლა „ვისაც ჯერ არს“, რომ სრულად ეთანხმებოდა ევროსასამართლოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და „ნაცმოძისთვის“ პოლიტიკურად უაღრესად დამაზიანებელ დასკვნას – **„არასწორი იყო მოსამართლეებზე თავდასხმა არაკორექტული ფორმით და არხის გამოყენება ცალკეული მოსამართლეების პროვოცირებისთვის და მათ შესავიწროებლადო“**.

ბრჭყალებში ჩასმული „ვისაც ჯერ არს“ ადვილად იშიფრება და როგორც ადრესატის კოლეგა ჟურნალისტი ნუგზარ ჯუღელი იტყოდა, „არც მეტი, არც ნაკლები – გვარამიაა“. ოთოს „ნასკებიდან“ ამოხტომა, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, „დუპლექს-სამასოიან“ შეურაცხყოფაზე პასუხის სურვილით იყო განპირობებული (რასაც ყველა წრეში „მელკობა“ ჰქვია), მაგრამ შედეგისთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. **აქ ერთი მომენტია საინტერესო და მნიშვნელოვანი – გოლი მელიას კარში და გოლი გვარამიას კარში იმავდროულად და უპირობოდ – ავტოგოლებიცაა(!).**

ასე რომ, დროა, ვაფრინოთ ელვა დეპეშა გინესების ოფისში!

ბიძინა დვალი.

(გაგრძელება იძნება)

კაცთა მოდგმას თაფლი, ღმერთს – სანთელი

ქართველი მეფუტკრეები თაფლის ექსპორტზე გასატანად დახმარებას ითხოვენ

VEDOMOSTI-ის ინფორმაციით, რუსეთში ფუტკრების 60% დაიხოცა. რუსული მედიის ინფორმაციით, მწერების მასობრივი დაღუპვის მიზეზი, სავარაუდოდ, ქიმიკატებისა და სხვადასხვა მასალების გამოყენება გახდა. ფუტკრების მასობრივი სიკვდილიანობისგან რუსეთის ზარალი 1 ტრლნ რუბლს შეადგენს.

ანტიბიოტიკების ხარისხთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდათ ქართველ მეფუტკრეებსაც, რაზეც კომერსანტი" არაერთხელ წერდა.

ამჯერად მედიაპორტალი დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ფუტკრის სამკურნალო ანტიბიოტიკების გამოყენების თვალსაზრისით საქართველოში? როგორ აისახება რუსეთში განვითარებული მოვლენები ქართველ მეფუტკრეებზე და ჩაანაცვლებს თუ არა რუსულ თაფლს ქართული თაფლი.

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების დამფუძნებელი ალეკო პაპავა აცხადებს, რომ ანტიბიოტიკების მოხმარება მეფუტკრეებში წელს საგრძნობლადაა შემცირებული და შესაბამისად ამ მიზეზით ფუტკრების მასიური განადგურება მოსალოდნელი არ არის.

„ჩვენ მეფუტკრეები არა ერთხელ გავფრთხილეთ. მათ იციან, რა ზიანი მოაქვს ანტიბიოტიკის მოხმარებას, ამიტომ უმეტესობა აღარ იყენებს. არის ადამიანების კატეგორია, რომლებიც წინაპრების ტრადიციას მიყვებიან და ჩვენს რჩევას არ ითვალისწინებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ 2019 წლის 1 იანვრიდან იკრძალება ევროკავშირში აკრძალული ნივთიერებების შემცველი ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია, თუმცა მანამდე შემოტანილი პრეპარატები ვეტაფთიაქებში მაინც იყიდება. სამეგრელოში ძირითადად ფაროსანას წამლობა ხდება, რაც ფუტკარზეც ახდენს გავლენას. მთავრობამ წინა წელთან შედარებით წელს მუშაობა დახვეწა, რეგიონების მიხედვით ჩაგვრთო მეფუტკრეებიც", – აცხადებს ალეკო პაპავა

მისი თქმით, რუსეთზეა დამოკიდებული, მოხდება თუ არა რუსული თაფლის ქართული თაფლით ჩანაცვლება. საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების დამფუძნებელი განმარტავს, რომ შესაძლებელია, ქართველი მეფუტკრეებისთვის რუსული ბაზარი საინტერესო აღმოჩნდეს. ამის მიუხედავად პაპავა ამბობს, რომ ქართველი მეფუტკრეები რუსული ბაზრით არ არიან დაინტერესებული, ისინი ევროკავშირის ტერიტორიაზე თაფლის ექსპორტზე არიან კონცენტრირებულები.

„ხარისხით ჩვენი თაფლი რუსულს ჯობს. მათ არა აქვთ მრავალფეროვანი თაფლი, იქ არის წიწიბურასგან, მზესუმზირისგან და მსგავსი ტიპის მცენარეებისგან წარმოებული თაფლი. ქართული თაფლი კი სხვადასხვა მცენარისგან შეგროვებული ნექტრისგანაა წარმოებული. სიმართლე რომ ვთქვა, ჩვენ ორიენტირებულები ვართ ევროპის ბაზარზე. უბრალოდ ხელს გვიშლის ანტიბიოტიკების სინჯები და ამ მხრივ მუშაობა მიმდინარეობს. დასანერგია შემოწმების სისტემა, რის შემდეგაც პრობლემა მოიხსნება. სახელმწიფომ საფუტკრეების კეთილ საიმედოობაზე უნდა მოხდინოს ინსპექტირება, თუმცა ჯერ ამისთვის მზად არ არის, დაახლოებით ერთი ან ორი წელი კიდევ დასჭირდება პრობლემის მოსაგვარებლად. 20 მაისს ინგლისში გამოფენა გაიმართა, სადაც საქართველოდან თაფლის სხვადასხვა სახეობები გაიგზავნა, ქართულმა თაფლმა ევროპის ბაზარზე დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც ჩვენს პოტენციალს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს", – განმარტავს ალეკო პაპავა.

ევროკავშირის ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად, საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების დამფუძნებელი სახელმწიფოს როლზე საუბრობს და მისგან დახმარებას ითხოვს.

„სახელმწიფოსგან ვითხოვთ სუბსიდირებას, რომ მეფუტკრეებს დაეხმაროს ლაბორატორიული ანალიზების გაკეთებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოსთან შეხვედრისთვის ვემზადებით და კონკრეტულ ნაბიჯებს წარვუდგენთ, თუ რა აქვთ გასაკეთებელი იმისთვის, რომ ქართული თაფლი ევროპაში მოხვდეს", – განაცხადა ალეკო პაპავამ.

ალეკო პაპავასგან განსხვავებით, ევროკავშირის ბაზრის ათვისება არარეალური ჰგონია **საქართველოს მეფუტკრე ფერმერთა გაერთიანების პრეზიდენტს გიორგი კეპაშვილს.**

„საქართველოში საჭიროა, გამკაცრდეს ფუტკრის სამკურნალო პრეპარატების მიმოქცევა. აუცილებელია, შემუშავდეს პესტიციდების გამოყენების კონტროლის მექანიზმი. უნდა გამკაცრდეს ანტიბიოტიკების იმპორტი, იმ თვალსაზრისით, რომ მეფუტკრეს, რომელსაც აკლია ცოდნა გარანტირებულად გამოიყენოს ხარისხიანი პრეპარატი. საქართველოში არსებული მეფუტკრეების 95 პროცენტი მოყვარულები არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ნაკლებად ინტერესდებიან მეფუტკრეობის განვითარებით. უნდა არსებობდეს ლაბორატორია, რომელიც ყველა 38 კომპონენტზე შეამოწმებს თაფლს. დღეს საქართველოდან ანტიბიოტიკების და პესტიციდების კვლევის მიზნით პროდუქტი ევროპაში იგზავნება. კიდევ ერთი მიზეზი არის ის, რომ პირველადი წარმოება ცუდად კონტროლდება. გარდა ამისა საწარმო უნდა არსებობდეს, რომელსაც შეუძლია აკონტროლოს თაფლის ხარისხი გადამუშავების პროცესში", – აღნიშნავს გიორგი კეპაშვილი.

გიორგი კეპაშვილი აცხადებს, რომ რუსეთისთვის ქართული თაფლი ყოველთვის აქტუალური იყო, თუმცა ამ ბაზარზე ექსპორტის პერსპექტივას ნაკლებად ხედავს.

„ქართული თაფლი რუსეთის ბაზრისთვის ყოველთვის აქტუალური იყო, თუმცა არ მგონია, რომ რუსეთში მოხდეს ექსპორტის განხორციელება, რადგან ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულია. ჩვენი ორგანიზაცია ყოველთვის ცდილობდა, რუსეთის ბაზარი აეთვისებინა. შესაძლებელია, რუსეთში თაფლზე ფასი გაიზარდოს, მაგრამ ქართული თაფლის ფასი მაინც მაღალი იქნება რადგან, ჩვენი თაფლი ყველაფრით უკეთესია. თუ ვინმეს სურვილი გაუჩნდება რუსულ ბაზარზე შესვლის, ის მაღალი ხარისხის თაფლით უნდა შევიდეს. გარდა ამისა რუსული ბაზარი ყოველთვის იქნება დაკეტილი, ვიდრე საქართველოში არ შეიქმნება ისეთი ლაბორატორია, სადაც თაფლი სრულყოფილად შემოწმდება. რუსეთს თაფლის ხარისხზე თითქმის იგივე მოთხოვნები აქვს როგორიც ევროპას", – აცხადებს გიორგი კეპაშვილი.

საქართველოს მეფუტკრე ფერმერთა გაერთიანების პრეზიდენტი სახელმწიფოს როლზე საუბრობს და აცხადებს, რომ სახელმწიფო ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით არაეფექტურად მუშაობს.

„როდესაც ვსაუბრობთ, რომ პრეპარატების მიმოქცევა არ ხორციელდება ეს არის სახელმწიფოს პრეროგატივა. როდესაც ვსაუბრობთ, რომ საქართველოში არ არის ლაბორატორია, რომელიც სრულყოფილად გამოიკვლევს თაფლს და ხელისუფლება ხედავს, რომ კერძო სექტორმა საკითხი არ განავითარა, აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა. როდესაც ხედავს, რომ პირველადი წარმოება მოიკოჭლებს და ხშირია შემთხვევები, როდესაც თაფლში გადაჭარბებული ანტიბიოტიკია, უნდა გაითვალისწინოს, რომ ამის კონტროლის ბერკეტები მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია. მთავრობა აქტიურად უნდა მონაწილეობდეს პროცესების მართვაში და გარემოს შექმნაში, რათა მოხდეს პროდუქტის ექსპორტი", – განაცხადა გიორგი კეპაშვილმა.

ბაჩო ადამია

8000 ტონაზე მეტი ხილი საზღვარგარეთ

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **სოლომონ პავლიაშვილი** დარიალის ხეობაში არსებული საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგიდან" ატმისა და ვაშლატამას ექსპორტზე გასვლის პროცესს ადგილზე გაეცნო.

„საბაჟო გამშვები პუნქტიდან ატმისა და ვაშლატამას ექსპორტი შეუფერხებლად მიმდინარეობას. დღე-ღამის განმავლობაში, პუნქტის გავლით, 200-დან 220 ტონამდე ატმისა და ვაშლატამას ექსპორტი ხორციელდება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩართულობით, მოსავლის აღება, დაბინავება და რეალიზაცია ორგანიზებულად და წარმატებით მიმდინარეობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კახეთის რეგიონში არსებული ცხრავე სამაცივრო მეურნეობა სრული დატვირთვით მუშაობს", – განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

დღეის მონაცემებით, საქართველოდან 8000 ტონაზე მეტი ატმისა და ვაშლატამას ექსპორტია განხორციელებული, საიდანაც „ყაზბეგის" საბაჟო გამშვები პუნქტიდან გასულია 6000 ტონა.

ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში საქართველო ტოპ 50 ქვეყანას შორისაა

– ამის შესახებ ინფორმაციას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ავრცელებს.

უწყების ცნობით, 2019 წლის მონაცემებით საქართველო 48-ე ადგილს იკავებს, წინა წელთან შედარებით მაჩვენებელი 11 საფეხურით გაუმჯობესდა.

საქართველოს ასეთი მნიშვნელოვანი წარმატების მთავარი ინდიკატორებია მაღალტექნოლოგიური იმპორტი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების (ICT) ექსპორტი და სამრეწველო ნიმუშების დიზაინი.

„ინოვაციების გლობალური ინდექსის რეიტინგში საქართველოს ადგილი საგრძნობლად გაუმჯობესდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ინოვაციების მიმართულებით საქართველოს მთავრობამ გარდამტეხი ნაბიჯები გადადგა. გასათვალისწინებელია, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც ასევე აუმჯობესებენ საკუთარ მაჩვენებელს, საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები უფრო სწრაფი და ეფექტიანი აღმოჩნდა", – აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე **ავთანდილ კასრაძემ.**

მისივე თქმით, საქართველო ამაზე გაჩერებას არ აპირებს.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული განათლების რეფორმა, რომელიც გულისხმობს მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 6 პროცენტის მიმართვას განათლებაზე, მეცნიერებასა და ინოვაციებზე, აისახება 2020 წელს გლობალური ინოვაციების ინდექსში და ეს საქართველოს კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს. მთავრობის მიერ დაგეგმილი ფართომასშტაბიანი რეფორმები იძლევა ქვეყნის კიდევ უფრო წინსვლის საფუძველს. იმედი გვაქვს, რამდენიმე წელიწადში მოვახერხებთ საუკეთესო 20 ქვეყანას შორის მოხვედრას. ინდოეთში გამართულ ღონისძიებაზე საქართველო ხაზგასმით იქნა აღიარებული, როგორც არა მარტო ლიდერი ქვეყანა რეგიონში, არამედ მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ქვეყანა ინოვაციების მიმართულებით", – განაცხადა მან.

საინტერესოა, რატომ აიღო მთავრობამ დაგეგმილზე მეტი ვალი?!

2019 წლის 6 თვის მანძილზე მთავრობამ დაგეგმილზე მეტი ვალი აიღო. უფრო ზუსტად, შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტში ვალდებულებების ზრდის შედეგად მიღებულმა შემოსულმა თანხებმა 632 მლნ 203.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (592 727.0 ათასი ლარი) 106.7%-ია.

აქვე შეგახსენებთ, რომ ბოლო წლების ტენდენციით სახელმწიფო საგარეო თუ შიდა ვალების მთლიან მოცულობას, როგორც წესი, წლის ბოლომდე ვერ ითვისებდა და ნაშთის სახით თანხა მომდევნო წლის ბიუჯეტში გადადიოდა. ამ მხრივ 2019 წელი გამონაკლისი აღმოჩნდა, რადგან ჯერ მხოლოდ ნახევარი წელი გავიდა და ვალმა წინასწარ დაგეგმილ მაჩვენებელს უკვე გადააჭარბა.

რისთვის იღებს მთავრობა ფულს, რამ გამოიწვია ვალის გადამეტება და ვინ აკონტროლებს ვალის მიზნობრიობას? — „კომერსანტი“ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებს დაუკავშირდა. თუმცა, როგორც გავარკვიეთ, დეპუტატები მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამენ და დანამდვილებით მიზეზებზე საუბარი უჭირთ.

კომიტეტის წევრები თანხმდებიან იმაზე, რომ საგარეო ვალი ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე იხარჯება და სავარაუდოდ, ახლაც იგივე ვითარებაა, თუმცა გადაჭარბებასთან დაკავშირებით ზუსტი პასუხი მაინც არ აქვთ.

ვალდებულია თუ არა საქართველოს მთავრობა, საქმის კურსში ჩააყენოს პარლამენტი, როდესაც თანხის ხარჯვა არაგეგმიურად ხდება? — ამ კითხვაზე განსხვავებული პასუხები მივიღეთ.

პაატა კვიჟინაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე:

— ვერ გეტყვით, რატომ აიღო მთავრობამ დაგეგმილზე მეტი ვალი და ეს არ გვეცოდინება, ვიდრე არ შეჯამდება საკითხი. 6 თვის შეჯამება კი სექტემბერში დაიწყება და მაშინ გაეცემა თქვენს შეკითხვებსაც პასუხი, თუმცა, საერთო სურათს ეს მაინც არ ცვლის. შეიძლება ამ თვეში გადააჭარბა რაღაც განსაზღვრულ თანხას, მაგრამ მომდევნოში უფრო ნაკლები დახარჯოს და ამით დაბალანსოს. საერთო ჯამში, რა თანხაცაა განსაზღვრული ბიუჯეტში, იმას მთავრობა არ გადაუხვევს და ამას ვნახავთ წლის ბოლოს. აქვე იმასაც დავამატებ, რომ ჩვენ გვაქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დადებული ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ყველა ციფრი შეთანხმებულია და მნიშვნელოვანი გადაცდენა გამორიცხულია.

— როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომლის მოვალეობა საბიუჯეტო თანხების ხარჯვის ზედამხედველობაცაა, არ დაინტერესეულხართ, რატომ გაიზარდა 6 თვეში ბიუჯეტში შემოსულობები 106.7%-ით და რისთვის იღებს მთავრობა ვალს?

— ძირითადად ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მაგრამ ახლა დანამდვილებით ვერ გეტყვით, რადგან ჯერ საკითხი განსახილველად პარლამენტში არ შემოსულა. ამიტომ არ ვიცი. შეიძლება დაგეგმილი პროექტები უფრო სწრაფად ხორციელდება და შესაბამისად მეტი ფინანსები დასჭირდა, ან დოლარის კურსის მატებას ჰქონდა გავლენა... დანამდვილებით შემიძლია იმის თქმა, რომ ვალებთან მიმართებაში ამ წუთში არანაირი პრობლემა არ არის, რადგან მშპ-თან დაკავშირებით მისი მოცულობა 60 %-ს არ უნდა გასცდეს, ჩვენ კი 40%-ის ფარგლებში ვართ.

დავით ჭიჭინაძე, საფინასნო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი:

— ჩვენ კომიტეტის სხდომები კარგა ხანია, არ გვქონია და არც მოსმენა ჩანიშნულა ამ მიმართულებით. რატომ იზრდება ვალის მოცულობა არ ვიცი, არადა, შარშან და წინა წლებში ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მთავრობამ ვერ აითვისა ბიუჯეტი; ჩამორჩენა ჰქონდა. შეიძლება წელს შარშან განუხორციელებელი პროექტებიც დაემატა. ასევე კურსის ცვლილებაც თავის გავლენას იქონიებდა და შეიძლება მთავრობა ვერ ჩაეტია წინასწარ განსაზღვრულ მოცულობაში. ნამდვილად საინტერესოა წლის შუა მონაკვეთში დაგეგმილზე მეტი რატომ დაიხარჯა. მით უფრო, როცა რაიმე დარგი წინსწრებით არ ვითარდება.

— როდესაც დაგეგმილზე მეტი ვალის აღება ხდება, ასეთ დროს მთავრობა არის თუ არა ვალდებული, პარლამენტთან და შესაბამის კომიტეტებთან თავიდან გაიაროს საკითხი ?

— ესეც პარადოქსია. ჯერ სესხულობენ და მერე გვაყენებენ საქმის კურსში. ზოგადად, როცა ბიუჯეტი იგეგმება, წინასწარ იწერება ვალის მოცულობაც და როცა ხდება მისი დარღვევა, აღნიშნულს, სულ მცირე, შესაბამისი კორექტირება სჭირდება. პარლამენტში არავინ მოსულა და არ განუმარტავს, რატომ ზრდიან ვალებს.

ვალი განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენად გადახდისუნარიანი ხარ. როგორც წესი, საგარეო და საშიანაო ვალს განვითარებული ქვეყნებიც იღებენ და ამაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ ყველა შემთხვევაში ბიუჯეტში მეტი პროცენტი გამოიყოფა ვალის მომსახურებაზე. საბოლოოდ ეს აკლდება სხვა მიმართულებას, იგივე პენსიებს და ა.შ. ამიტომ როგორც არ უნდა აგვიხსნან, ვალში ცხოვრება არასდროს კარგი არ არის. თუ მოსახლეობას ვეუბნებით, რომ მისთვის ჭარბვალიანობა პრობლემაა, გამოდის, რომ ჭარბვალიანობა პრობლემაა როგორც მოსახლეობისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის.

* * *

2019-2021 წლებისთვის მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის მიხედვით, ამჟამად საქართველოს მთავრობის ვალის 81.3% შედგება საგარეო ვალისგან და დანარჩენი 18.7% კი — საშინაო ვალისგან.

რაც შეეხება საგარეო და საშინაო ვალზე უფრო კონკრეტულ ინფორმაციას:

შიდა ვალის სახით ბიუჯეტმა 275 მლნ 688.1 ათასი ლარი მიიღო, რაც საანგარიშო პერიოდში დაგეგმილს აღემატება და ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (194 652.0 ათასი ლარი) 141.6%-ს შეადგენს.

საგარეო ვალდებულებების ზრდით ქვეყანაში 356 მლნ 515.4 ათასი ლარი შემოვიდა, რაც ექვსი თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (398 მლნ 75 ათასი ლარი) 89.6%-ია.

აქვე შეგახსენებთ, იმისთვის, რომ შემცირდეს მთავრობის ვალის პორტფელის სავალუტო რისკთან დაკავშირებული მოწყვლადობა, 2021 წლისთვის დაგეგმილია, მთავრობის ვალში საშინაო ვალის წილმა შეადგინოს სულ მცირე 20%, ხოლო გრძელვადიან პერიოდში, ეტაპობრივად გაიზარდოს 35%-მდე, — აღნიშნულია ვალის მართვის სტრატეგიაში.

მიმდინარე წლის ბიუჯეტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის წლიური საპროგნოზო მოცულობა 19 მლრდ 787 მლნ 170 ათასი ლარია.

სალომე ლემონჯავა

საქართველოში ჩამომსვლელი რუსი ტურისტების 80 პროცენტს საჰაერო გზა ჩაეკეტა!

რუსული ტურისტული ემბარგოს შესახებ ახალი კვლევა გამოქვეყნდა. შედეგი მართლაც დამაფიქრებელია. შარშანდელთან შედარებით საჰაერო გზით შემოსული რუსი ვიზიტორების ოდენობა თითქმის 80%-ით არის შემცირებული.

„თიბისი რისერჩის“ ჩატარებული მიმოხილვის მიხედვით, რუსეთიდან ავიამიმოსვლის შეზღუდვის მიუხედავად, ტურიზმის სექტორი ზრდის დაბალ, თუმცა პოზიტიურ დინამიკას მაინც ინარჩუნებს. 2019 წლის ივლისის მეორე კვირაში (ე.წ. ავიასანქცია 8 ივლისს ამოქმედდა) საქართველოში საჰაერო გზით შემოსული რუსი ვიზიტორების რაოდენობა 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 78%-ით შემცირდა.

მთლიანობაში, პერიოდის განმავლობაში საჰაერო გზით (ტრანზიტით) 2 898-მა ადამიანმა გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი. საავტომობილო გზით კი, რუსეთიდან 38 525 ადამიანი შემოვიდა, რაც 2018 წელთან შედარებით 1.7%-ით ნაკლებია. მთლიანობაში, ივლისის მეორე კვირაში რუსეთის მოქალაქეების 21.4%-იანი კლება აღირიცხა.

„სხვა ქვეყნებიდან ვიზიტორების მატების შედეგად, ჯამურად ტურიზმის სექტორი ზრდის დაბალ, თუმცა პოზიტიურ დინამიკას ინარჩუნებს“, — ნათქვამია მიმოხილვაში.

მთლიანობაში ივლისის მეორე კვირაში საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა 3.2%-ით გაიზარდა, თუმცა ეს დაგეგმილ მაჩვენებელთან შედარებით მიზერული შედეგია. თანაც გასათვალისწინებელია, რომ ჩრდილოეთიდან ფრენების შეწყვეტა შემდეგ თვეებში უფრო მეტად მოახდენს გავლენას, რადგან აკრძალვა ახალი დაწესებულია და მისი შედეგები რამდენიმე თვის შემდეგ უფრო თვალში საცემი გახდება.

ამიტომ ტურიზმის სექტორმა რუსული ავიასანქციების საპასუხოდ 10-პუნქტიანი გეგმა შეიმუშავა, რომელიც ეკონომიკის მინისტრს წარუდგინეს. მთავრობისადმი ბიზნესის ერთ-ერთი შეთავაზებაა, რომ ბაქოდან და ერევნიდან თბილისის მიმართულებით შატლი დაინიშნოს.

ამის საპასუხოდ, გასული კვირის ბოლოს ეკონომიკის მინისტრმა **ნათია თურნავამ** განაცხადა, რომ სამინისტროს მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ერევნიდან თბილისამდე „ჯორჯიან ეარვეისის“ ფრენა დაასუბსიდიროს.

„ჩვენი ანალიზის შედეგად, ერევნიდან უმჯობესია, ხელი შევუწყოთ ავიაფრენებს. „ჯორჯიან ეარვეისი“ ასრულებს რეისებს, მათ შორის რუსეთის ქალაქებიდან ერევნის გავლით საქართველოში და ჩვენ ვეხმარებით. მთავრობის გადაწყვეტილებით შეირჩა ერევნის მიმართულება“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისში“ კი „ბიზნეს მედიას“ განუცხადეს, რომ ჯერ სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობს და კონკრეტული გადაწყვეტილება, რა ტიპის მხარდაჭერას გაუწევს სახელმწიფო ეროვნულ ავიაკომპანიას, ჯერ მიღებული არ არის.

რაც შეეხება აზერბაიჯანის მიმართულებას, როგორც ეკონომიკის მინისტრმა აღნიშნა, მიმდინარეობს მოლაპარაკება აზერბაიჯანულ საავიაციო კომპანიებთან, რომ მათ ბილეთში შატლების ინტეგრირება მოახდინონ.

კერძო სექტორის მხრიდან რუსეთის ავისანქციების საპასუხოდ წარმოდგენილ ინიციატივას მთავრობის გადაწყვეტილებით კიდევ ერთი პუნქტი დაემატა. როგორც ნათია თურნავამ განაცხადა, კერძო სექტორთან შეხვედრაზე ქუთაისში დადგა საკითხი, რომ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან წყალტუბომდე საჭიროა შატლების დაფინანსება.

რა მოცულობის თანხებს გამოყოფს სახელმწიფო როგორც ავიარეისების დასასუბსიდირებლად, ისე შატლების დამატებაზე, ჯერ უცნობია. ჯერჯერობით, ოფიციალურად მთავრობას კერძო სექტორისთვის არც ე.წ. ანტიკრიზისული გეგმა წარუდგენია.

ეკა ბაძრაძე

სანთელ-საკმეველი: გზაში თუ უგზოობაში?

თეკლე ჯანელიძეს ესაუბრება როსტომ ჩხეიძე

— ბატონო როსტომ, რამდენი წიგნი გექნებათ დაწერილ-გამოცემული?

— გულმა გიგრძნოთ თუ რა, სწორედ ამ ორიოდე დღის წინათ მოვინდომე მათი გადათვლა.

— და რამდენი აღმოჩნდა?

— თავმდაბლობა მიშლის ხელს, ზუსტი რაოდენობა მოგახსენოთ.

— მაინც, მაინც?

— კიდევ ვახსენო ეს სიტყვა — თავმდაბლობა — თუ აღარ არის საჭირო?

— არა, აღარ არის საჭირო... მაგრამ ერთი კი მაინტერესებს: კიდევ რამდენი წიგნი უნდა დაწეროთ, ოფიციალურ სიებში თქვენი გვარ-სახელიც რომ მოხვდეს და, თვალს რომ ჩაავლებენ ამ სიებს, თქვენც მწერალთა შორის იხსენიებოდეთ?

— რა სიებს გულისხმობთ?

— თქვენ ალბათ არ დაინტერესებულხართ, თორემ ადვილად იპოვიდით.

— ალბათ... ალბათ სხვებს გაცილებით მეტი წიგნი აქვთ.

— ხუმრობთ, არა, ბატონო როსტომ? თქვენი წიგნების მეათედიც არავის შეუგროვდება, ზოგს კი თითო წიგნზე მეტი არც გააჩნია.

— ალბათ ის თითო წიგნი ისეთია, ადვილად გადაწონის სხვების — ამ შემთხვევაში ჩემს — უამრავს.

— კარგით რა, მე სერიოზულად გელაპარაკებით.

— მეც სერიოზულად გპასუხობთ. რა — არ შეიძლება ასე იყოს? გარდა ამისა, აუცილებელი სულაც არ არის, მაინცდამაინც რჩეულთა დასში მიეჩინათ ჩემთვისაც ადგილი. მეორე ან მეხუთეხარისხოვან მწერალთა შორის ხომ მაინც მომნიშნავდნენ, ის კი არა, „და სხვაში“ აუცილებლად მიგულისხმებდნენ.

— ან იქ გიგულისხმეს კი?

— ესეც გეეჭვებათ?

— რას ბრძანებთ, მე არა, იმათგან მეეჭვება.

— რა არის, იცით, ილიას შეგონებისა არ იყოს, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგავს.

— როდისღა?

— რა ხდება, ვკვდები თუ?..

— ჯვარი გწერიათ, როგორ გეკადრებათ... კიდევ რისი თქმა მინდოდა: ახალი წიგნების მიმოხილვას რომ ვადევნებ თვალყურს სხვადასხვა ტელევიზიით, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ... არც თქვენ არსებობთ და არც თქვენი ახალ-ახალი წიგნები... და ეს იმ პიროვნებისა, რომელმაც ოცზე მეტი წლის წინათ თვითონ გახსნა ტელევიზიის ეკრანზე ეს რუბრიკა „ახალი წიგნები“ — „ალიონის“ გადაცემებს ვგულისხმობ — და მერეც ერთგულად წარმოაჩენდა უკეთეს გამოცემებს საპატრიარქოს ტელეარხის დილის გადაცემიდან „განთიადი“ და ტელეკომპანია „იბერიას“ ეკრანიდან.

— ეგ რა შუაშია... ვინ რა ვალდებულია, მაინცდამაინც ჩემს წიგნებს მიაქციოს ყურადღება.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მართლაც სენსაციური მოვლენა გახლდათ, ერთ წელიწადს ცხრა წიგნი რომ გამოეცით და მეორე წელიწადს — ათი, სენსაციური მსოფლიო მასშტაბით, ორ წელიწადში სამი წიგნი თუ გამოსცეს, ხელხვავიანობად რომ ითვლება და დასავლეთში ამას საგანგებოდაც და სიამაყითაც აღნიშნავენ კრიტიკოსებიც და მკითხველებიც... ბიოგრაფიული რომანების რაოდენობით ხომ ყველას საგრძნობლად გადაუსწარით — ათი ბიოგრაფიული რომანიც კი არავის შეუქმნია არამცთუ ქართველ, მსოფლიო ავტორთაგანაც, და თქვენ ოცი რომანიც და ოცდახუთიც უკან გაქვთ მოტოვებული.

— მკითხველი ხომ ჰყავს და მთავარიც ეს არის, ეს ჟანრი ძალიან პოპულარულია საქართველოშიც და ეს განსაკუთრებული ინტერესი კი ძალიან მახარებს.

— მახსოვს, ერთხელ საგაზეთო დისკუსიისას ლიტერატორებმა ვინ აღარ გაიხსენეს, ვინ აღარ მოიხსენიეს და... შემთხვევითაც არ წამოცდენიათ თქვენი სახელი. მაშინ გაღიზიანდით და რეპლიკითაც გამოეხმაურეთ. ეს იყო...

— არ გვინდა, არა, დაზუსტება, ძალიანაც ვნანობ იმ გამოხმაურებას, რადგანაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. შეიგნეს რამე და შეეუხერხულათ თუ რა?..

— მეგონა, ლორდ ბაირონის „დონ ჟუანი“ რომ აამეტყველეთ ქართულად პაატა ჩხეიძესთან ერთად, იმას მაინც მოჰყვებოდა შესაფერისი გამოძახილი, მხოლოდ თქვენს წრეში და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავყრილობაზე არ ჩაიკეტებოდა, მაგრამ... აღარაფერს ვამბობ იმაზე, თქვენი ტანდემი ჯერ კიდევ მაშინ რომ თარგმნიდა ინგლისური და ამერიკული ესეისტიკის შედევრებს, როდესაც ბაჩანა ბრეგვაძის გარდა არავინ იყო დაინტერესებული ამ ჟანრით.

— აკი მოგახსენეთ, სანთელ-საკმეველი...

— მეც აკი მოგახსენეთ...

— რა ვუყოთ, ბამბის ჩხრიალ-ჩხრიალში ბევრი რამ კვლავაც მოუწესრიგებელია... და ეს: მიუხედავად ამდენი წლის თავგამოდებისა, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება რასაც მოღვაწეობს...

— მოუწესრიგებელი კი არა, სულაც თავდაყირა მეჩვენება.

— ნუ განვსჯით ასე მკაცრად, ჩვენ მაინც სასიკეთო ნიშნები დავინახოთ, რამდენი კარგი რამ ხდება ჩვენს ლიტერატურაში, რამდენი კარგი წიგნი გამოდის, ორიგინალურიც და თარგმნილიც, რა ნიჭიერი ახალგაზრდობა შემოგვემატა... რამდენი მწერალია ღირსეულად პატივმიგებულიც და დაფასებულიც... განსაკუთრებულ აღმავლობას მაინც სალიტერატურო კრიტიკა და მწერლობის ისტორიის კვლევა განიცდის, უკვე ვეღარაფერი რომ ვეღარ შეაჩერებს.

— და მაინც...

— ამ ჩვენს საუბარს რომ იწერთ, გაშიფვრასა და გამოქვეყნებას არ გირჩევთ, თქვენთვის შეინახეთ, თუ მაინცდამაინც...

— დავიჯერო, რომ არავის არაფერში გამოადგება?

— დღეს ნამდვილად არავის არაფერში... ხოლო ხვალე რასაც იკითხავს ხვალისას, მაშინ კი ნამდვილად არ დაიფარება... განა მარტო ბოროტება არ იფარება, არც სიკეთე, თუნდ დასამალად დედამიწაც გადაეფაროს...

„დედა ენის“ მჯერ-მოყვარე

მმართველ პარტიას ქვეყანაში აუცილებლად რომ უნდა ჰყავდეს ოპოზიცია, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. იგი თავისი მწვავე, მაგრამ ამავე დროს, კონსტრუქციული შენიშვნებით, ხელს უნდა უწყობდეს ხალხისთვის სასარგებლო კანონების მიღებას, მმართველი ძალაც ვალდებულია, მოისმინოს ოპოზიციონერი კოლეგების ყველა შენიშვნა და მათ შორის სასარგებლო წინადადება კანონადაც აქციოს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოწმე ვარ და დღემდე არ მახსოვს, ოპოზიციას განეცხადებინოს შენიშვნა და ამასთან ერთად მოეწოდებინოს სიძნელის გადაწყვეტის გზა. ისინი მხოლოდ იწუნებენ ხელისუფლების გადაწყვეტილებებს და არ იძლევიან სწორი წინსვლის რჩევებს. ამიტომ, მათი გამოსვლები დესტრუქციულია და ხელს უწყობს პარტიების დაპირისპირებას, რომელიც თითქმის ყველა შემთხვევაში მტრობაში გადაიზრდება ხოლმე.

ასეთ ვითარებაში, საკითხის სწორად გადაწყვეტაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგანაც როგორი სასარგებლოც არ უნდა იყოს ხელისუფლების მოქმედება, ოპოზიციას მზად აქვს მისი საწინააღმდეგო მოსაზრება. სამწუხაროდ, ამ მოსაზრებებს ფართოდ ახმიანებს ჩვენი მასმედია, მათ გაცილებით მეტ დროს უთმობს და მისდა უნებურად უაზრო, მავნე გამოსვლების თანამონაწილე ხდება.



მთელი საქართველო გაახარა სკოლებში “დედა ენის“ სწავლების განახლებამ. ადრე გაოგნებული ვკითხულობდით, ვინ მოიფიქრა მისი პროგრამებიდან ამოღება. ამის პასუხი ვერ მივიღეთ, სახიფათო ნიჰილიზმს თანდათანობით შევეჩვიეთ და ბავშვებს მოვუსპეთ ის სწორი გზა, რომელიც საუკუნენახევრის მანძილზე მოგვწონდა, გვზრდიდა და ადამიანობას გვასწავლიდა.

განათლების სისტემის “რეფორმები“ დაიწყო საბჭოთა პერიოდში. მახსოვს, განათლების ერთმა მინისტრმა, რომელსაც სკოლაში ერთი გაკვეთილიც არ ჩაუტარებია, გაბრწყინებული სახით გვაუწყა: ამიერიდან სასწავლო პროცესი ოქტომბრიდან დაიწყება, ბავშვები გახარებული არიანო.

მე ამ მინისტრს რეპლიკით ვუპასუხე: ბავშვებს თუ ეტყვით, სკოლაში საერთოდ არ უნდა იაროთო, ესეც მათ უფრო დიდ სიხარულს გამოიწვევს-მეთქი.

ასეთი „მოაზროვნეების“ ხელშიც, არავის მოსვლია აზრად „დედა ენაზე“ რაიმე ფორმით ხელის ხლება. ეს გაბედეს მხოლოდ “დემოკრატიულ“ ქვეყანაში, სადაც ათეულობით მინისტრი შეიცვალა და ყველა თავის საქმიანობას იწყებდა ისეთი “რეფორმით“, რომელიც საფუძვლიანად ანგრევდა წარსულში აპრობირებულ მეთოდებს (სახელმძღვანელოები, მათი შინაარსი, სასკოლო ინვენტარი, სწავლის და დასვენების ხანგრძლივობა, წიგნების უთავბოლო შეცვლა კომპიუტერებით, ვაშლების დარიგება და ა.შ.).

ჩემი აზრით, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ სასკოლო მუშაობას უფრო არგებს ცოტა კონსერვატიზმი, სასკოლო განათლების სისტემა ვერ ეგუება ყოველწლიურ ექსპერიმენტებს (ეს სხვა დარგებში შესაძლოა, მისაღები იყოს), სკოლა არაა დაკვირვებისა და ცდების ჩატარების ობიექტი. ყველა სიახლე დიდ დაფიქრებას, განსჯას, მაღალკვალიფიციური აღმზრდელების დასკვნას საჭიროებს. თვით განათლების სამინისტროც მეცნიერ-პედაგოგებით უნდა შევავსოთ და არა შემთხვევითი პირებით, რომელთაც ერთხელაც არ სჭერიათ ხელში სასკოლო ჟურნალი და არ იცნობენ სოფლისა და ქალაქის სკოლების ძირითად თავისებურებებს.

ახალმა მინისტრმა, ბატონმა მიხეილ ბატიაშვილმა მთავრობის მხარდაჭერით, როგორც ჩანს, გადალახა უმეცრების რუბიკონი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ ეს გადაწყვეტილება ურყევი იქნება, შეწყდება სკოლებში ყოველგვარი მავნე ცდების ჩატარება და მივყვებით იმ სწორ გზას, რაც გამოგვივლია და ცხოვრებამ გვასწავლა.

მაგრამ რა? მე ჩემი წერილი ხელისუფლების და ოპოზიციის ურთიერთობით შემთხვევით არ დამიწყია. ერთ-ერთმა ტელეარხმა გაახმოვანა ყოფილი დისიდენტის, შემდგომში ყველაფერი ეროვნულის მაგინებლის ლევან ბერძენიშვილის მოსაზრება, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: “სკოლებში „დედა ენის“ დაბრუნებით პრემიერმა ბახტაძემ და მინისტრმა ბატიაშვილმა დიდი შეცდომა დაუშვეს და ცოდვა ჩაიდინესო“. ოპონენტი, როგორც წესი და როგორც შესავალში მის შესახებ ხაზგასმით აღვნიშნე, არ გვაწვდის საკუთარ აზრს, რით შევცვალოთ „დედა ენა“, რა უნდა შემოვიღოთ ჩვენს სკოლებში!..

ამიერიდან აღარ ვეძებ სკოლებში გოგებაშვილისეული „დედა ენის“ სწავლების აკრძალვის ინიციატორებს. ამ დიდი ეროვნული დანაშაულის ერთ-ერთი ავტორი ცხვირწინ გვყოლია. მან თვითლუსტრაცია გამოაცხადა. ნათელია, რომ ადრინდელი მინისტრები გულდასმით უსმენდნენ ცნობილ სხვაგვარად მოაზროვნეს და პოლიტიკოსს.

ერისა და ქვეყნისთვის სასარგებლო სიტყვის თქმისა და საქმის საკეთებელად დისიდენტობა არაა საკმარისი, ადამიანმა ყოველდღე უნდა ჰკითხოს თავის თავს — არა ის, დღეს რა დაუშავა ერსა და ქვეყანას, არამედ, „აბა მე დღეს ვის რა ვარგე“, სხვანაირად დაუფიქრებლად და უაზროდ წამოსროლილი “რევოლუციური ლოზუნგების“ გამო, თავიდან ვერ აიცილებს ხალხის სამართლიან რისხვას.

რამაზ სურმანიძე,
ქ. ბათუმი

რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

779
მხოლოდ ყველაზე გულცივ ავაზაკთ აქვთ გამზადებული თბილი ადგილები ჯოჯოხეთში.

780
ჯერ იყო სიტყვა, მხოლოდ შემდგომ ჩამოდგა დუმილი.

781
ჯობს ორი ბოლო აქვს. ნურცერთზე ნუ შედგები.

782
ერთი მცდარი ნაბიჯი და უკვე სხვის მიზანთან ხარ.

783
ისე სავსე ვარ ოპტიმიზმით, რომ ერთ ზედმეტ წვეთსაც ვეღარ დავიტევ.

784
სადაც გნებავთ, სიტყვა იქ შევა, მაგრამ გამოსვლით ყოველთვის ადვილად ვერ გამოდის.

785
მჯერა თვით ცხოველთა ევოლუციისაც კი. ოდესმე, მაგალითად, რწყილი ლომს გაუტოლდება, ოღონდ არ ვიცი, რა იქნება ამის მიზეზი – ლომის დაკნინება, თუ რწყილის გიგანტიზმი.

786
მიყვარს მამათა ცხოვრების ბოლოდან კითხვა, აი, კითხვა-კითხვაში რწმენა მიბრუნდება იმისა, რომ იმათგან რომელიმე კვლავ შეიძლებს ადამიანად გახდომას.

787
უარესი შეიძლება რომ მომხდარიყო, შენი მტერი შეიძლება შენი მეგობარი ყოფილიყო.

788
სულთა მპყრობელნი მაშინებენ. რას უშვრებიან სხეულთ?

789
ძველები მიცვალებულთა შემურვის ისეთ ხელოვნებას ფლობდნენ, რომ მიცვალებულთ მნიშვნელობა არ ეკარგებოდათ.

790
დიდია ძალა არარაობისა, არარაა მისი დამძლევი.

791
ზოგიერთები არასოდეს ხელიდან არ უშვებენ საჭევარს იმის იმედით, რომ სხვა ხომალდზეც გამოადგებათ.

792
რომელ მედოლეთათვისაც ტაქტზე მნიშვნელოვანი შედეგია, პირველი დარტყმისთანავე აყრუებენ საზოგადოებას.

793
ისეთებიც არიან, რომელთაც კაცის მოკვლა ემკვლელებათ, ჯერ მისი არაკაცად ქცევა უნდათ.

794
ეპოქის საუკეთესო საზომია დიაპაზონი დიდსა თუ უმნიშვნელოს შორის.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-131, 135, 139, 142-147

795
არა კაც ჰკლაო, თქვა და დაუმატა – შენი ხელითაო.

796
რატომღაც მგონია, რომ ზოგიერთნი მგრძანებელნი თავიანთ ქვეშევრდომთ ხელებს დააჭრიდნენ, უკეთუ ტაშისკვრა არ ეჭირვებოდეთ.

797
ზოგიერთნი სიმართლის დანახვის ნიჭს არიან მოკლებულნი, სამაგიეროდ, რა გულწრფელად სუნთქავს იმათი ტყუილი!

798
თუ გამოვაცხადებთ: „წმინდანები არ არიანო“, თვით ათეისტებსაც კი ეწყინებათ.

799
ხან იმდენი ნაგავი გროვდება, რომ იმის გადაყრა კაცს ხელგაშლილობა ჰგონია.

800
ნუ იყვირებ: „მეფე ტიტველიაო!“ სანამ საჯდომს არ მოგაქცევს.

801
სოდომიდან გომორაში გადასახლდა.

802
ეშმაკს არა სძინავს, ვისთანაც მოხვდება.

803
ვისაც ეკლის გვირგვინი ახურავს, იმან თავი არ უნდა დახაროს – გვირგვინი ჩამოუვარდება.

804
ნეკროლოგის ბოლო: არ მომკვდარა! ცხოვრების წესი გამოიცვალა.

805
ყველა გაბედული ოცნება გვიხდება, დგება ჟამი არაგაბედულ ოცნებათათვის.

806
ზოგისთვის მეორე სიცოცხლე ჯილდოა, ზოგისთვის – სასჯელი.

807
იყვირა: „მეფე ტიტველიაო!“ მაგრამ კარისკაცთ პირში ბურთი ჩასჩარეს. „არ შეიძლებაო!“ – „რატომაო?“ „რატომაო და, მაგას უნდა, რომ გაცივდესო“.

808
პირდაპირნო, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ მოსახვევებში.

809
სამოთხეში ალბათ ყველაფერია, ჯოჯოხეთიც კი.

810
სიზმრების ნახვა ცხადადაც შეიძლება, თუ დროდადრო ცალ თვალზე ხელს მიიფარებ.

811
მისტიკოსია! თავისი არსებობა სჯერა.

812
ძნელია – თავი ამაყად აწეული გქონდეს და ცხვირი არ აბზიკო.

813
პროგრესულ-რელიგიური მოაზროვნე იყო, თანახმა იყო, რომ ადამიანი მაიმუნისგან გაჩნდა, მაგრამ ნოეს კიდობანში გადარჩენილი მაიმუნისგან.

814
კრეტინს შედევრის დასაწერად ნუ აგულიანებთ, რომ დაწეროს, მერე სად მიდიხართ?

815
ფილოსოფოსნო, ფილოსოფიურ ქვას ნუ აღმოაჩენთ, ადგებიან და კისერზე ჩამოგკიდებენ.

816
ადამიანი სიყვარულის ნაბიჭვარია.

817
სიმართლე სადღაც შუაში წევს, უმეტესად საფლავის წარწერა არა აქვს.

818
არსებობს ეკონომიკური სექსუალური სტიმულატორები.

819
ადამიანები ნივთმცოდნეების ხელთა ვართ.

820
გვერდით მოვარტყი? ჩემი მიზანიც ეგ იყო.

821
ლაჩარი სატირიკოსი მხოლოდ თვითონ არის სასაცილო.

822
ტყუილი, რომელიც სიმართლეში ამხილეს, ამით მხოლოდ თავხედდება.

823
ხელოვნების დისციპლინა თავისუფლებას მოითხოვს.

824
ცხოვრება იძულებულს ხდის ადამიანს, რომ ბევრი რამ ნებაყოფლობით აკეთოს.

825
ნუ ხართ სასტიკნი, მაზოხისტებს ნუ ანეტარებთ.

826
ძნელი გასარჩევია, ვინ მიჰყვება ნებით დინებას.

827
ზოგიერთების მოწოდება – „ნუ დავხოცავთ ერთმანეთსო“, ხან მცდარად ესმით. ისინი მკვლელობის განსაკუთრებულ უფლებას მოითხოვენ, მხოლოდ თავიანთვის.

828
ზოგიერთებს ორძირიანი ბედი აქვთ, და ბედს ისინი კონტრაბანდად გადაჰყავ-გადმოჰყავს.

(გაგრძელება იქნება)

დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

მიზანში ამოღებული ბარგი

19 აგვისტოდან რუსეთში ძალაში შევა საზღვრის გავლით ხილის, ბოსტნეულისა და ყვავილების შეტანის ახალი წესი. ამიერიდან ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის გაუფორმებლად ჩემოდნითა და ხელბარგით შესაძლებელი იქნება არა უმეტეს ხუთი კილოგრამი ხილისა და ბოსტნეულის, ასევე ყვავილების სამი თაიგულის გატანა. თანაც, თითოეული თაიგული მაქსიმუმ 15 ყვავილის, ფოთლის ან სხვა სახის მცენარისგან უნდა შედგებოდეს.

გავრცელებული ინფორმაციით, უფრო დიდი პარტიის გადასატანად საჭიროა ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი. ასეთი დოკუმენტის გარეშე პროდუქციას ან უკან გააბრუნებენ, ან ადგილზე გაანადგურებენ მფლობელის ხარჯზე.

ახალი წესები გავრცელდება ყველა სახის, მათ შორის, საზღვაო, ავია, სარკინიგზო და საავტომობილო — ტრანსპორტზე.

ჩრდილოეთ ოსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელმა „კავკაზ. რეალიისთან“ საუბარში აღნიშნა, რომ შეზღუდვა ნეგატიურად აისახება სამომხმარებლო ბაზარზე.

„ნებისმიერი შეზღუდვა გაკისრებს ვალდებულებებს, ვალდებულებები კი იწვევს სხვადასხვა ჯარიმებს. შესაძლოა, წესრიგის დასამყარებლად ეს სწორი გადაწყვეტილება იყოს, მაგრამ ცხადია, რომ 20 კილოგრამი გასაყიდად არ მიმაქვს. შეზღუდვა რაღაცნაირად უნდა მომხდარიყო, მაგრამ ძნელი სათქმელია, როგორ“, — განაცხადეს პალატის ექსპერტიზის განყოფილებაში.

წყაროს თანახმად, ვინაიდან შეზღუდვა ბითუმად წვრილმან მოვაჭრეებს შეეხება, იგი არ მოახდენს გავლენას რესპუბლიკაში ხილისა და ბოსტნეულის ფასზე. ახალი წესები ყველაზე მეტად ტურისტებს შეეხებათ. ცნობისთვის: ჩრდილოეთ ოსეთის გავლით რუსეთიდან საქართველოსკენ და უკან გადაადგილდება უამრავი ტურისტი.

სახელმწიფო კომპანია „როსსელხოზნადზორის“ ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის განყოფილებაში აცხადებენ, რომ ახალი წესების შემოღების შედეგად მოელიან სამუშაოს მოცულობის გაზრდას. განყოფილების დირექტორის მოადგილე ანზორ ტორჩოკოვმა „კავკაზ.რეალიის“ უთხრა, რომ სამსახური რეგულარულად აკვებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ტერიტორიიდან რუსეთში მიმავალ უხარისხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით სავსე ტვირთებს.

„ჩვენ ვაწარმოებთ სტატისტიკას საქართველოსა და სომხეთზე. იქ გვხვდება ხოლმე, მაგალითად, ატმის ხოჭოთი დაავადებული ნაყოფის პარტიები. მათ ჩვენ ვაგზავნით ლაბორატორიებში ქიმიური დამუშავებისთვის, რათა გავაუვნებელყოთ ამ მწერისაგან, ან ასეთ ტვირთს უკან ვაგზავნით მეზობელ სახელმწიფოში“, — გვითხრა მოხელემ.

რაც შეეხება 5 კილოგრამი ხილისთვის სავალდებულო ფიტოსანიტარიული უსაფრთხოების ზომის შემოღებას, ტორჩოკოვმა აღნიშნა, რომ წესები ზემოდან მოდის და მათი შესრულება სავალდებულოა.

საქონლის თავდაპირველი შემოწმება, როგორც გაირკვა, ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის მიერ შემუშავებული სიის მიხედვით ხდება. თუ ამ დოკუმენტში კონკრეტული სახის საქონელი არ არის შეტანილი, მაშინ უკვე რუსეთის ეროვნულ სიას უყურებენ.

„როსსელხოზნადზორში“ აცხადებენ, რომ რუსეთის მთავრობის დადგენილება მიზნად ისახავს ზეეროვნული და რუსული საკანონმდებლო ნორმების ჰარმონიზებას.

„იმ წესებით, რომლებიც დადგენილებაშია ასახული, ჩვენ უკვე 2017 წლიდან ვცხოვრობთ, დადგენილია ევრაზიული ეკონომიკური კომისიის გადაწყვეტილებით. რუსეთის მთავრობის ამჟამინდელი დადგენილებით იწყება კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პერიოდი“, — განუცხადეს „ახალი ამბების“ სააგენტო „ტასს“ უწყებაში. ევრაზიულ ეკონომიკურ გაერთიანებაში შედიან სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და რუსეთი, რომელიც ამ კავშირის ლიდერად ითვლება.

ვალერი ძუცატი

ანაკლიის პროექტი ამერიკული ინვესტიციის წყარო ყოფილა!

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო გენერალური პროკურატურის მიერ „თიბისი ბანკის“ თანადამფუძნებლების მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ბრალდების საკითხთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საელჩო ყურადღებით აკვირდება საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ „თიბისი ბანკის“ თანადამფუძნებლების მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიმართ წაყენებული კრიმინალური ბრალდებების ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

„ჩვენ შეშფოთებას გამოვთქვამთ ბრალის წაყენების კონტექსტსა და დროის გარემოებასთან დაკავშირებით. მიუკერძოებელი და გამჭვირვალე სამართლებრივი სისტემა, რომელიც თავისუფალია პოლიტიკური გავლენისაგან, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს დასავლური ინტეგრაციისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში.

ჩვენ კვლავ მხარს ვუჭერთ ანაკლიის პორტის პროექტს, რომელიც ამერიკული ინვესტიციის მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოში და, რომელსაც აქვს პოტენციალი, ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას“, — აღნიშნულია განცხადებაში.

მთავრობამ საპატიო კონსულებს დიპლომატიური ნომრების აღების უფლება აღუდგინა

საქართველოს **მთავრობამ სხვა ქვეყნების საპატიო კონსულებს დიპლომატიური ნომრების აღების უფლება აღუდგინა, რომლითაც დიპლომატები 2014 წლის შემდეგ ვერ სარგებლობდნენ.**

საუბარია ავტომობილის წითელი ფერის ნომრებზე, რომელზეც წარწერა თეთრი ფერითაა დატანილი.

საქართველოში სხვა ქვეყნების საპატიო კონსულებს ისეთივე სანომრე ნიშნები ექნებათ, როგორც საკონსულო დაწესებულებების თანამდებობის პირებს.

საპატიო კონსულების ავტომობილებისთვის დიპლომატიური ნომრების გაცემის ინიციატივით მიმდინარე წლის მარტში დეპუტატი და ლატვიის საპატიო კონსული საქართველოში ბექა ოდიშარია გამოვიდა. თუმცა, შემდეგ ინიციატივა უკან გაიწვია.

24 ივლისს კი გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ მიიღო, რითაც ცვლილება შევიდა „სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნები), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრისა და TEST ნომრის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის დადგენილებაში.

გერმანიაში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 20 პროცენტით შემცირდა

გერმანიის **მიგრაციის და ლტოლვილთა ფედერალური სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში თავშესაფარზე 2 111 განაცხადი შევიდა, 2018 წლის იანვარ-ივნისში კი ეს მაჩვენებელი 2 640-ს შეადგენდა.**



ამასთან, კლების დინამიკა ფიქსირდება თვეების მიხედვითაც. თუ 2019 წლის იანვარში შესაბამისი მოთხოვნით 534 განაცხადი შევიდა, ივნისში 182 მოთხოვნა დაფიქსირდა.

2018 წელს გერმანიაში თავშესაფრის მოთხოვნაზე საქართველოს მოქალაქეების 4 265 განაცხადი იყო შესული, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 23 პროცენტით აღემატებოდა.

ქართული ფილმი ვენეციის კინოფესტივალზე

მსოფლიოში **უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამა ცნობილია. ვენეციის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში ქართული ფილმია შეტანილი. ინფორმაციას საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრი ავრცელებს.**

ვენეციის კინოფესტივალის საკონკურსო სექციაში „ჰორიზონტები“ წარმოდგენილი იქნება დიმიტრი მამულიას ფილმი „ბოროტმოქმედი“.

ვენეციის კინოფესტივალი საერთაშორისო კინოფესტივალებს შორის ყველაზე ძველია. იგი 1932 წელს დაარსდა. ფესტივალი ყოველ წელს ტარდება აგვისტოში ან ადრეულ სექტემბერში, კუნძულ ლიდოზე, ვენეციაში. ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული კინოფესტივალი და ვენეციის ბიენალეს ნაწილი, უდიდესი ბიენალეს გამოფენა და თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი.

ფესტივალის ძირითადი პრიზებია **Leone d'Oro — ოქროს ლომი**, რომელიც გადაეცემა ფესტივალზე წარმოდგენილ საუკეთესო ფილმს და **Coppa Volpi — ვოლპის თასი**, რომლითაც ჯილდოვდება საუკეთესო კაცი და ქალი მსახიობი.

2002 წელს შეიქმნა ახალი ნომინაცია სან მარკოს პრიზი, რომელიც გადაეცემა ფილმს, რომელიც ემსახურება Controcorrente (სტერეოტიპების მსხვრევას).

ხმალგაშიშვლებულნი ორ გველეშაპს - რომსა და პართიას შორის



დიდებულ სერიალს ჩაუყარა საფუძველი გამომცემლობა **„პალიტრა-L“-მა. ეს არის „ძართველი მეფეები. პატრონნი და მსახურნი ქვეყნისანი“, 24-ტომეული, 24 გამორჩეული მეფის მოღვაწეობა და ამ მოღვაწეობის შეფასება.**

უკვე გამოიცა 20 ტომი.

მათგან სამის — „ფარნავაზის“, „მირიანისა“ და „ფარსმან-I“-ისა და „ფარსმან-II“-ის ავტორია ცნობილი მეცნიერი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გრანი ქავთარია,** ანტიკური ეპოქის აღიარებული მკვლევარი, მრავალი ფუნდამენტური გამოკვლევის შემქმნელი.

„ფარსმან I და ფარსმან II“ ახლახან მიიღო მკითხველმა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ წყაროებში ერთობ ძუნწად არის ცნობები იბერიის ამ ხელმწიფეებზე, გ. ქავთარიამ ბერძნულ-რომაულ წყაროებზე დაყრდნობით ღრმად და საფუძვლიანად გააშუქა იბერიის I-II საუკუნეების ისტორია, როცა ეს ხელმწიფენი მოღვაწეობდნენ, მკითხველს მიაწოდა საფუძვლიანი ცოდნა.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის დასაწყისიდან ძველი საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ურთიერთობამ რომის იმპერიასთან. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე გაბატონებული რომის ლეგიონები მცირე აზიაში შეიჭრნენ და პირისაგან მიწისა აღგავეს მანამდე „ბეჭდაუდებელი“ მითრიდატე VI ევპატორის უძლიერესი პონტოს სამეფო.

რომისა და პონტოს ომმა საბედისწერო როლი შეასრულა სამხრეთ კავკასიის ხალხთა ისტორიაში. მითრიდატე ევპატორის განადგურების შემდეგ რომის არმიამ გნეუს პომპეუსის სარდლობით დაიპყრო ყველა ის ქვეყანა, რომელიც ძალითა თუ ნებით პონტოს გვერდით იბრძოდა. პომპეუსის ლაშქრობის შედეგად იბერია „რომის მეგობრისა და მოკავშირის“ სტატუსით შეუერთდა გამარჯვებულის გავლენის სფეროს.

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის ქართლის (იბერიის) მეფე ფარსმანი, როგორც ისტორიული პიროვნება, ანტიკური ავტორების წყალობით არის ცნობილი (სახელდებულია ფარსმანედ). სხვათა შორის, ქართული მატიანეები მსგავსი სახელის მეფეს არ იცნობენ. „ქართლის ცხოვრება“ არ იცნობს არც მითრიდატე ევპატორს და არც გნეუს პომპეუსს...

აღმოსავლეთი საქართველო (ქართლი) ანტიკურ ავტორებთან იბერიად იწოდებოდა. მისი მეფეები, პომპეუსის ლაშქრობიდან მოყოლებული, რომაულ დოკუმენტებში აქტიურად განიხილებოდნენ, როგორც რომის მოკავშირეები და მეგობრები. იბერიის როლი თვალსაჩინოდ გამოჩნდა ახალი წ.აღ. I საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც უკიდურესად გამწვავდა ურთიერთობა რომსა და პართიას შორის, სომხეთის გამო. პართია — ახალი აღმოსავლური გიგანტური სახელმწიფო, პონტოს სამეფოს განადგურების შემდეგ აღიმართა რომის წინ.

პართია-რომის ომის დროს იბერიის მეფე მითრიდატე და მისი ძე ფარსმანი გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ, რასაც იბერიის უფლისწულის, ფარსმანის ძმის მითრიდატის სომხეთში გამეფება — ქართული პოლიტიკის დიდი გამარჯვება მოჰყვა.

ფარსმან I იბერიის სამეფო ტახტს ფლობდა I საუკუნის შუა ხანებში. იგი

რადამისტი კლავს ზენობიას.
ლუიჯი საბატელის ნახატი. 1803 წ.

აგრძელებდა მამის, მითრიდატ I-ის მიერ დანერგილი რომაული ორიენტაციის გზას. მერე საქმე უკუღმა წავიდა.

ფარსმანის ძემ, უფლისწულმა რადამისტმა თავისი ბიძის — სომხეთის მეფის მითრიდატის ჩამოგდება და მისი ტახტის დაკავება განიზრახა. ამ საქმეში მას მამა — ფარსმან I აქტიურად ეხმარებოდა. ტაციტუსის ცნობით, ფარსმანი ტიპური აღმოსავლელი დესპოტია, რომლისთვისაც სიწმინდე უცხო იყო. რადამისტმა დაატყვევა და დაახოცინა ბიძა — მითრიდატ სომეხთა მეფე, მისი დედოფალი — საკუთარი და და მათი მცირეწლოვანი შვილები.

მაგრამ მოღალატე და მკვლელ რადამისტს არ გაუმართლა. მას აუჯანყდნენ და სომხეთიდან განდევნეს. როცა რადამისტს და მის ფეხმძიმე ცოლს ზენობიას მდევარი დაეწია, რადამისტმა ქალს ხანჯალი ჩასცა და მდინარე არაქსში გადაგდო, თვითონ კი იბერიისკენ გააჭენა ცხენი. ზენობია მწყემსებმა გადაარჩინეს. რადამისტი შინ მშვიდობით დაბრუნდა, მაგრამ ტახტს ვეღარ ეღირსა. სომხეთის ტახტი, რომელიც რომაელთა ხელდასხმით იბერიას ჰქონდა მიკუთვნებული, საერთოდ დაიკარგა — იგი პართიელთა ხელში გადავიდა.

ფარსმან I ხშირად ახერხებდა საერთაშორისო მოვლენების იბერიის სასარგებლოდ გამოყენებას, რთულ სიტუაციებში წვდომის უნარი მას ნიჭიერ სახელმწიფო მოღვაწედ გვიხასიათებს, მაგრამ გარკვეულ პერიოდებში გამოუსწორებელ შეცდომებს უშვებდა. ეს მან მიაწოდა თავის ვაჟს რადამისტს სომხეთის ტახტის დაკავების იდეა, რამაც გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა არმენიაზე იბერიის ბატონობის 20-წლიან ეპოქას, რისი მთავარი ინიციატორიც თავის დროზე თვითონ იყო. რომთან რომ პირნათელი გამოჩენილიყო, ფარსმანმა რადამისტი სიკვდილით დასაჯა და ამით რომის კეთილგანწყობა შეინარჩუნა.

ეროვნული მატიანეების მიხედვით, ფარსმან II საქართველოს ისტორიის გამორჩეულ მეფედ არის მიჩნეული. მას ტრადიციამ ქველის სახელი დაუმკვიდრა.

ფარსმან II ქველის, როგორც ღირსეული ხელმწიფის შესახებ მოგვითხრობენ ქართული და რეალობასთან სიახლოვით უფრო სანდო ბერძნულ-რომაული წყაროები. გ. ქავთარიას წიგნით ნათელი ხდება, რომ ფარსმან-II გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. იბერიის მეფე წარმოდგენილია აქტიურ პიროვნებად, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა საერთაშორისო მოვლენებში და ბოლომდე ერთგულებდა რომის აღმოსავლურ პოლიტიკას. იბერიის მეფეთაგან ფარსმანი იყო ის გვირგვინოსანი, რომელიც განსაკუთრებული პატივით მიიღეს რომის საიმპერატორო კარზე.

მართალია პართიასთან ომში რომმა გაიმარჯვა, მაგრამ იმპერიის ცალკეულ პროვინციებში დანთებული აჯანყების ცეცხლმა მას უარი ათქმევინა დაპყრობითი ომების გაგრძელებაზე. ფარსმან II ორივე აგრესორთან საკმაო დისტანციას ინარჩუნებდა და თავის სამფლობელოებს აფართოებდა, მაგალითად, დაიპყრო დასავლეთქართველური ტომები და მათი მიწები მიიერთა. ამის გამო რომთან ურთიერთობა დაეძაბა, მაგრამ საქმე ომამდე არ მისულა.

გაუუმჯობესდა ეს ურთიერთობა იმპერატორ ანტონინუს პიუსის დროს. სწორედ მისი ზეობის პერიოდში ჩავიდა იბერთა მეფე ფარსმან II დიდი ამალით რომში, არა როგორც ქვეშევრდომი. მას იქ სრულიად განსხვავებული შეხვედრა მოუწყვეს. მარსის მოედანზე დადგეს მისი ცხენზე ამხედრებული ძეგლი, დაასაჩუქრეს ძვირფასი საჩუქრებით.

ფარსმან II იბერიის საგარეო პოლიტიკას გონივრული გზით წარმართავდა, მისი მოღვაწეობის ეს მხარე ხაზგასმულია ანტიკური ავტორების თხზულებებში. მათი მტკიცებით ფარსმან II ქველი მთელი კავკასიის საზღვრებში უპირველესი პოლიტიკური ფიგურა იყო.

ფარსმან II მეფობდა დაახლოებით II საუკუნის 30-60-იან წლებში. გარდაიცვალა მკვლელის ხელით — მოწამლეს. ისტორიამ მას ღირსეული პატივი მიაგო. სახელოვანი მეფე ეროვნულ მატიანეში გმირად არის გამოქანდაკებული, ზედწოდებით — „ქველი“.

ალეკო ასლანიშვილი

საინტერესოა, როგორია ევროპელ დიდებულთა იერარქია და შეხვედრისას პირველი ვინ უნდა მიესალმოს?

თავადი — ესაა აზნაურთა ყველაზე მაღალი წოდება, რომელსაც დამოუკიდებელი მმართველი ატარებს. მას სრული ძალაუფლება აქვს. სიტყვა „კნეზ“ წარმოშობილია ძველგერმანული „Kuning“-იდან, რომელიც, თავის მხრივ სიტყვა „Kuni“-დანაა ნაწარმოები, რაც „გვარს“ ნიშნავს. შესაბამისად, ეს სიტყვა გვარის ან ტომის თავკაცს ნიშნავდა. სწორედ გერმანული სიტყვიდან „Kuning“ წარმოიშვა ინგლისური „King“ — მეფე.

თავადის შემდეგ მოდის **ჰერცოგის** ტიტული, რაც ძველგერმანულად „სამხედრო ბელადს“ ნიშნავს. ეს ტიტული იულიუს კეისრის დროს წარმოიშვა და მას ტომების მიერ ომის დროს არჩეულ მხედართმთავრებს ანიჭებდნენ. ადრეულ შუა საუკუნეებში ჰერცოგის ტიტული თავადის ტოლფასი იყო, გვიან შუა საუკუნეებში კი დიდი ტერიტორიის მმართველს ენიჭებოდა, რომელიც მეფის შემდეგ მეორე პირი იყო.

ვინ უფრო მთავარია დიდებულებში?

მარკა — სტრატეგიულ მნიშვნელოვან სასაზღვრო მხარეს ეწოდებოდა. შესაბამისად, **მარკიზის** ტიტულს ამ მიწის სრულუფლებიანი მმართველი იღებდა. იგი მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდა, მისი ძალაუფლება კი ჰერცოგისას უტოლდებოდა.

ადმინისტრაციულად საჰერცოგო საგრაფოებად იყოფოდა, მაშასადამე, თუ ჰერცოგს შეიძლება, დამოუკიდებელი გუბერნატორი ვუწოდოთ, მაშინ **გრაფი** — ესაა რაიონის დამოუკიდებელი თავკაცი. თავის მიწაზე გრაფს ადმინისტრაციული, სასამართლო და სამხედრო ხელისუფლება ეპყრა. შუა საუკუნეებში გრაფი — მარკიზზე ერთი, ხოლო ჰერცოგზე ორი საფეხურით დაბლა იდგა.

ვიკონტი — სიტყვასიტყვით „გრაფის მოადგილეს“ ნიშნავს და გრაფზე საფეხურით დაბლა დგას. ვიკონტის ტიტულს ხშირად გრაფის უფროსი ვაჟიშვილი ატარებდა.

ბარონი — წოდებიან აზნაურებში ყველაზე დაბალი ტიტული იყო. არსებითად, ბარონი მხოლოდ მიწისა და გლეხების პატრონი იყო და ეს ქონება ერთგული სამსახურისთვის, მეფის, ან, სულაც, ჰერცოგის ნაბოძები იყო. ბარონის ბატონობა მხოლოდ მის მამულზე ვრცელდებოდა. ამდენად, რანგით იგი ზოგ ქვეყანაში გრაფზე — ერთით, ზოგან კი ორი საფეხურით დაბლა იდგა. ძველგერმანულად „ბარონი“ „თავისუფალ კაცს“ ნიშნავს.

„ლორდი“ კი ინგლისურად „ბატონს“ ნიშნავს. ესაა „ზრდილობის ტიტული“, რომლითაც ყველა აზნაურს მიმართავდნენ. ესე იგი მარკიზებიც, გრაფებიც, ვიკონტებიც და ბარონებიც — ყველანი ლორდები იყვნენ, მაგრამ ჰერცოგისადმი, ისევე, როგორც მეფისადმი, მიმართვა „ლორდი“ დაუშვებელი იყო.

ნინო ალექსანდრია

◎ ოლიმპიური ფესტივალი

ეს ერთი და სხვა მრავალი!

27 ივნისს ნიკა ბაჩიაშვილი ვარშავაში გამართული ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახდა.

და აი, გავიდა ერთი თვე და უმჩატესი წონის ქართველმა ძიუდოისტმა მორიგი, კიდევ უფრო წონადი წარმატებით გაგვახარა – ახმეტელმა მოზარდმა ბაქოში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ჩვენს სპორტულ დელეგაციას პირველი ოქროს მედალი მოუტანა.

50 კილოში მოასპარეზე მოზარდმა „ჯვაროსანმა“ აზერბაიჯანულ ტატამზე ზედიზედ დააიპონა ავსტრიელი მარკუს აუერი, იტალიელი ტომაზო სკატოლინი და ფრანგი რომენ რიშარ ვალადიერი, ფინალში კი ვაზარით აჯობა რუმინელ ალექსანდრუ მაიერს.

აღსანიშნავია, რომ პოლონური ფორუმის ნახევარფინალში ნიკა სწორედ ფრანგთან დამარცხდა, ახლა კი ღირსეული რევანში აიღო.

ამრიგად, საქართველოს ნაკრების ყულაბაში უკვე ცხრა მედალი (1 „ოქრო“, 4-4 „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“) ჩაჩხრიალდა და ჩვენი გუნდი ამ მონაგრით საერთო ჩათვლაში მეათე ადგილამდე აღზევდა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

რევანშს დღესაც ველით

როგორც მოგეხსენებათ, წლევანდელ როლან გაროსზე მსოფლიოს მე-16 ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი სამ პარტიაში დამარცხდა არგენტინელ ხუან იგნასიო ლონდეროსთან.

და აი, გავიდა რამდენიმე თვე და ჩვენმა თანამემამულემ რევანში ჰამბურგის კორტზე აიღო, სადაც ATP-500 კატეგორიის პრესტიჟულ ტურნირში შარშან მოპოვებულ ტიტულსა და გამომუშავებულ 500 სარეიტინგო ქულას წარმატებით იცავს – 6:4, 3.6, 6:3. მეორე წრის ეს შეხვედრა საათნახევარს გაგრძელდა.



პირველ მოწოდებაზე მოგებული ქულების 80 პროცენტი და ექვსი ბრეიკ-პოინტიდან გამოყენებული ორი შანსი – აი, ის ფაქტორები, რამაც განაპირობა ნიკას გამარჯვება.

დღეს 13:30 საათზე იგი მეოთხედფინალში ფრანგ ჟერემი ჩარდის ეთამაშება, ვისთანაც აქამდე ორივე ბრძოლა წააგო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

შესანიშნავი ექვსეული

ხვალ სტარტს აიღებს წყნარი ოკეანის თასის გათამაშება რაგბიში, სადაც სწორედ იმ მეორე ეშელონის ნაკრებები ჩაებმებიან, რომელთაც საქართველოს ეროვნული გუნდიც მიეკუთვნება.

ტურნირის საიუბილეო მე-15 გათამაშებამ ამჯერად თავი უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა, რაც 2019 წლის მსოფლიო თასისთვის მზადებას უნდა მივაწეროთ. შეჯიბრების ტრადიციულ მონაწილეთა (ფიჯი, სამოა, ტონგა) გარდა, პირველობისთვის აშშ, იაპონია და კანადა იბრძოლებენ.

ბოლოს, ტურნირზე ამგვარი შემადგენლობა გასული, 2015 წლის მსოფლიო თასის წინ შეიკრიბა, სულ კი აღნიშნულ ექვსეულს შორის ბრძოლა მხოლოდ 4-ჯერ (2007, 2008, 2014, 2015) ჩატარებულა.

ყველაზე მეტჯერ (5) წყნარი ოკეანის თასი ფიჯელებს აქვთ მოგებული, ამასთან, 4 ტიტული მათ ზედიზედ (2015-18) მიითვალეს. 3-3 ჩემპიონობა აქვთ აქტივში სამოასა და „ჯუნიორ ოლ ბლექსს“, რომელსაც შეჯიბრში მონაწილეობა ბოლოს 2009 წელს აქვს მიღებული. 2-ჯერ პირველობა იაპონიის ნაკრებს ერგო (2014 წელს ტიტული სამოასთან გაიყო), ერთხელ კი – „მაორი ოლ ბლექსს“.

მომავალი გათამაშების უმთავრეს ფავორიტად ფიჯი მოიაზრება, რომელმაც მსოფლიო თასისთვის მზადება ყველაზე ადრე დაიწყო და „მაორებთან“ ორ საკონტროლო მატჩში ერთი გამარჯვება იზეიმა. სავარაუდოა, რომ „მფრინავი ფიჯელების“ უმთავრესი კონკურენტი მსოფლიო თასის მასპინძელი იაპონია იქნება, რომელიც კუნძულელებს შინაურ კედლებში დაუხვდება.

წილისყრის შედეგად, „ა“ ჯგუფში თავი ფიჯიმ, ტონგამ და აშშ-მა მოიყარეს, „ბ“-ში კი კანადა, იაპონია და სამოა მოხვდნენ. მსოფლიო რაგბის მიერ მისი ეგიდით ჩატარებული ტურნირებისთვის დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ნაკრებები ძალებს არა თავის, არამედ მეორე ჯგუფის წარმომადგენლებთან მოსინჯავენ.

ბეჟან დოლიძე

◎ თაობა

მსოფლიოში წყლით შევაბიჯეთ!

გელა ტუკვაძისა და ოთარ ქოიავას გაწვრთნილმა საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით შეასრულა ბულგარეთის ქალაქ ბურგასში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის წინ დასახული პროგრამა – მინიმუმი და, სამამულო წყალბურთის ისტორიაში პირველად, მუნდიალის საგზური მოიპოვა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჭაბუკმა „ჯვაროსნებმა“ პლეი-ოფის პირველ რაუნდში სლოვაკ თამნატოლებს 12:8 (4:2, 4:1, 2:2, 2:3) მოუგეს. მეტოქეს გოლები ჩიქოვანმა (4), ახვლედიანმა (3), ტყეშელაშვილმა (2), კოზაშვილმა, გელაშვილმა და გორგოძემ (სამივემ – თითო) გაუტანეს.

მეოთხედფინალისტები ასე დაწყვილდნენ: საქართველო – საბერძნეთი, ესპანეთი – იტალია, მონტენეგრო – ხორვატეთი და უნგრეთი – სერბეთი.

დავძენთ, რომ ელადელებმა ჯგუფური ეტაპი ქულათა მაქსიმუმით დაასრულეს და თვით ესპანელებს სძლიეს – 6:5.

კობა კობახიძე

◎ ტოკიო – 2020

თქვენს წინაშეა თილისმა - რობოტები

ტოკიოს ოლიმპიური და პარალიმპური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა 2020 წლის უმთავრესი ღონისძიებისთვის 4 ფუტურისტული რობოტი წარმოადგინა.

იაპონელთა ჩანაფიქრით, რობოტები საშეჯიბრო არენებზე დაეხმარებიან მაყურებელს, ათლეტებსა და ოფიციალურ პირებს, ხოლო მათ, ვინც ასპარეზობებს შორიდან ადევნებს თვალყურს, ხმოვან სიგნალს და გამოსახულებას მიაწვდიან, თანაც სარბიელზე განვითარებული მოვლენების საქმის კურსში ვირტუალურად ჩააყენებენ.

ტოკიო-2020-ის მიზანია, რომ ამგვარი ტექნოლოგიური სიახლეებით ოლიმპიური თამაშები ყველაზე ინოვაციური და დაუვიწყარი გახადონ.

რობოტები ტოკიო-2020-ის თილისმების – მირაიტოვასა და სომეიტის შესაბამისია, რომლებიც შეიმუშავა „ტოიოტა მოტორ კორპორეიშენმა“.

რობოტები არენებზე და ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებულ ადგილებზე ადამიანის მსგავსი მოძრაობებით – ხელის ჩამორთმევით, სხვადასხვა გამომეტყველებით მიესალმებიან ათლეტებსა და სტუმრებს. ამასთან, რობოტებს შუბლზე დამაგრებული ექნებათ კამერები, რაც მათ ადამიანის სიახლოვის აღქმაში დაეხმარება.

ტოკიო-2020 და „ტოიოტა“ ასევე განიხილავენ შესაძლებლობებს, თუ როგორ ჩააყენონ ბავშვთა სამსახურში თილისმა-რობოტები, რათა მათი დახმარებით მოზარდებმა ოლიმპიური გამოცდილება მიიღონ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ფეხბურთი

რი ასაკი, რა ასაკი...

ბევრმა გულშემატკივარმა სკეპტიკურად შეაფასა ლეგენდარული ჯიჯი ბუფონის დაბრუნება ტურინის „იუვენტუსში“ – სათადარიგოთა სკამის ხეხვა და პოლონელი კოლეგის ვოიცეხ შჩესნის დუბლიორობა რა საკადრისიაო.

როგორც მოვლენათა განვითარება გვკარნახობს, არც მთლად მასე ყოფილა საქმე და საკითხავია, ხანგრძლივი სეზონის განმავლობაში რომელი მათგანი გახდება „ბებერი ქალბატონის“ ძირითადი მეკარე.

საუბარია მილანის „ინტერთან“ ამერიკაში მიმდინარე საერთაშორისო ჩემპიონთა თასის გათამაშების შეხვედრის შემდეგ 41 წლის ვეტერანის მიერ მოგერიებულ 3(!) პენალტზე, რამაც განაპირობა კიდეც თეთრ-შავზოლიანთა გამარჯვება (ძირითადი დრო – 1:1).

აღსანიშნავია, რომ ანგარიში ავტოგოლით იტალიური საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანის ჰოლანდიელმა ახალწვეულმა მატეი დე ლიხტმა გახსნა, საპასუხო გოლი კი საჯარიმოთი კრიშტიანუ რონალდუმ გაიტანა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ პროგნოზი

სიცხე კი მოიმატებს...

კლიმატის საყოველთაო დათბობას შესაძლოა ის შედეგი მოჰყვეს, რომ 2050 წლისთვის თბილისისთვის კლიმატური ანალოგი ცენტრალურაზიური ყირგიზეთის დედაქალაქის ბიშკეკი გახდეს.

ესაა შვეიცარიული ლაბორატორიის „ქროუზერისა“ და ციურიხის უმაღლესი ტექნიკური სკოლის მეცნიერთა ერთობლივი კვლევის დასკვნა, რომელიც 2050 წლისთვის მსოფლიოს უდიდესი 520 ქალაქისთვის კლიმატის საპროგნოზო მახასიათებლებს ეხება.

საგულისხმოა, რომ **ერევნისთვის** ასეთი ანალოგი გახდება ტაჯიკეთის დედაქალაქი **ტაშკენტი**, **ბაქოსთვის** — საბერძნეთის დედაქალაქი **ათენი, მოსკოვისთვის** — ბულგარეთის დედაქალაქი **სოფია.**

შვეიცარიელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ქალაქების ანალოგების ჩამონათვალის შექმნა პლანეტარული მასშტაბით კლიმატურ ცვლილებათა არსის გაგებას გააიოლებს და ხელს შეუწყობს მიღებულ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის ზრდას.

ნინო ალექსანდრია

დასავლეთ საქართველოში სტიქიას ებრძვიან

ლენტეხის რაიონის რამდენიმე სოფელი გარესამყაროს მოწყვეტილია.

ძლიერი წვიმების შედეგად, მდინარე ჩოლშურა ადიდდა და სოფელ დვრიშთან, ტვიბსა და ესიერთან დამაკავშირებელი გზა ჩახერგა.

ლენტეხის მერის ბადრი ლიპარტელიანის ინფორმაციით, სტიქიის შედეგად სოფლებთან დამაკავშირებელი გზა მთლიანად წაღებულია, ამ დროისთვის ადგილზე სამაშველო სამსახურები არიან მობილიზებული.

* * *

წალენჯიხაში უხვი ნალექისგან მიყენებულ ზარალს ითვლიან. ძლიერმა წვიმამ სერიოზული ზარალი მიაყენა წალენჯიხის მუნიციპალიტეტს. სანიაღვრე არხებმა ვერ გაატარა წყლის დიდი ოდენობა, რის გამოც დაიტბორა ქალაქის ცენტრალური ქუჩები, საცხოვრებელი სახლები, სავარგულები.

პრობლემები შეექმნათ სოფლებს — ლიას, საჩინოსა და ობუჯს. ამ სოფლებში რამდენიმე ოჯახში წყალმა გაანადგურა ბოსტნები, თხილნარი, საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, ავეჯი. დაიხოცა შინაური ფრინველები.

წალენჯიხის მერის პირველმა მოადგილემ ცოტნე შონიამ დაზარალებული ოჯახები მოინახულა.

მისი თქმით, უხვი ნალექის შემდეგ პრობლემები 10 წელზე მეტია, არსებობს, რაც სანიაღვრე არხების არარსებობით არის გამოწვეული.

წალენჯიხის მერია ადგილობრივებს პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა.

ნიჩბისიდან დიდ თონეთამდე განახლებული გზით...

ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთის 26 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტი ორ მონაკვეთად იყო დაყოფილი. აღნიშნული გზა ორ რეგიონს — მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლს უმოკლესი გზით აკავშირებს ერთმანეთთან.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, რეაბილიტირებული გზა სოფელ ნიჩბისში იწყება, გადაკვეთს მდინარე ნიჩბისისწყალს, გაივლის მუხრან ბატონის კოშკს, მთავარანგელოზისა და ღვთისმშობლის ეკლესიებს, დიდგორის დიდების მემორიალს და ეკლესიის გავლით მიდის უღელტეხილისაკენ, საბოლოოდ კი უერთდება კოჯორი-თეთრიწყაროს საავტომობილო გზას.

„სოფელ ნიჩბისის ტერიტორიაზე გამავალი გზის მხოლოდ 545-მეტრიანი მონაკვეთი იყო მოასფალტებული, დანარჩენ მონაკვეთებზე კი საფარი გრუნტის იყო და გადაადგილება უამინდობის დროს განსაკუთრებით რთულდებოდა.

არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, პროექტის შესაბამისად, განხორციელდა გზის სრული რეაბილიტაცია: 26 კმ-იან მონაკვეთზე მოეწყო ასფალტ-ბეტონის საფარი, ხელოვნური ნაგებობები, გზის საყრდენი კედლები და საგზაო ნიშნები. პროექტი, უზრუნველყოფს ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთის საავტომობილო გზით მოსარგებლეთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას“, — ნათქვამია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სულთათანა

ვიტალი და ფატი ხაზარაძეები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და უსამძიმრებენ დალი და პეტრე ბერაიებს დედისა და სიდედრის

რაისა გვარამია-წითლიძის

გარდაცვალების გამო.

სანთელი

უახლოესი მეგობრები დარეჯან ელიაძე, ნანა გუნია, მარინა კანდელაკი, სპარტაკ ქობულია, რომან კიზირია, გურამ გუნავა, თენგიზ კალანდაძე, ზაურ თელია ოჯახებით თანაუგრძნობენ ლეილა ნოდიას მეუღლის

ფრიდონ მოწაფიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის მთელ სანათესავოს.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს დია კონკურსს

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის საბაკალავრო პროგრამა
კერძო სამართლის კათედრა

მიმართულება	- სამართალი
დარგი/სპეციალობა	- კერძო სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია	- საკორპორაციო სამართალი
ასოცირებული პროფესორი	- 1 საშტატო ერთეული
ქვედარგი/სპეციალიზაცია	- ინტელექტუალური საკუთრების სამართალი
ასოცირებული პროფესორი	- 1 საშტატო ერთეული

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

ბიზნესისა და ეკონომიკის მართვის კათედრა
ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

მიმართულება	- ბიზნესის ადმინისტრირება
დარგი/სპეციალობა	- ფინანსები
ასისტენტ-პროფესორი	- 1 საშტატო ერთეული

კონკურსში მონაწილეების საბუთების მიღება იწარმოებს: 2019 წლის 02 სექტემბრიდან 2019 წლის 13 სექტემბრამდე, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2019 წლის 23 სექტემბერს.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2019 წლის 27 სექტემბერს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე www.gtuni.edu.ge

ან დარეკოთ შემდეგ ნომრებზე:
2 66 15 12; 2 24 65 90; 2 24 65 91.

მკვლელობა ნაძალადევში

გურამიშვილის გამზირზე მოკლული 20 წლის შაკო ტყემალაძე, „მისტერ ვალენტინი-2014“-ის — თორნიკე ტყემალაძის ძმაა. გურამიშვილის გამზირზე უბედური შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. მოკლულები შალვა ტყემალაძე და გურამ კოღუა არიან. ოჯახის ახლობლების თქმით, ისინი უახლოესი მეგობრები იყვნენ.

ამ ეტაპზე ადგილობრივები მომხდარის ორ ვერსიაზე საუბრობენ. ერთ-ერთის მიხედვით, ახალგაზრდები უცნობმა პირმა მაყუჩიანი იარაღით დახოცა და ტერიტორია კორპუსის უკანა ეზოს გავლით დატოვა. შემთხვევის ადგილზე, საცხოვრებელი სახლიდან ლიფტის მიმართულებით, სისხლის კვალია. მეორე ვერსიით კი ბინაში მყოფი ორი ბიჭიდან იარაღი ერთ-ერთს გაუვარდა, მეგობრის გარდაცვალების შემდეგ კი ბიჭმა თავი მოიკლა. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავებს მკვლელობის იარაღი შემთხვევის ადგილზე დახვდათ. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ხულოში ავარიის შედეგად ბაბუა და შვილიშვილი დაიღუპა

შემთხვევა სოფელ ღორჯომში მოხდა. „უაზის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც საზაფხულო იალაღებიდან მოდიოდა, ხრამში გადაიჩეხა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადას მოხუცი და მცირეწლოვანი გარდაცვლილი დახვდა. დაშავებულია კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც ხულოს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„ევრონიუსი“ საქართველოს ტელესივრცის ახალი პროდუქტი

„ევრონიუსი საქართველოს ტელესივრცეში დაიწყებს მაუწყებლობას. ამ მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საერთაშორისო საინფორმაციო არხსა და კომპანია „სილქნეტს“ შორის გაფორმდა.

ქართულ ენაზე, ევრონიუსის ინფორმაციასთან ერთად, „ევრონიუს საქართველოს“ მაუწყებლობის 20 პროცენტი საქართველოს ამბებს დაეთმობა. „ევრონიუს საქართველო“ ახალი ქართულენოვანი საინფორმაციო არხი და ციფრული პლატფორმა იქნება.

მემორანდუმს ხელი „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი რამიშვილმა და ევრონიუსის აღმასრულებელმა დირექტორმა მიშელ პეტერსმა მოაწერეს.

კომპანიის ინფორმაციით, „ევრონიუსსა“ და „სილქნეტს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის თანახმად, „სილქნეტს“ შეემატება „ევრონიუს საქართველო“, ახალი მედია, რომელიც დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის პრინციპებით ხელმძღვანელობს და ასოცირდება „ევრონიუსის ბრენდის“ მაღალ ცნობადობასა და რეპუტაციასთან. თავის მხრივ, „ევრონიუსი“ უზრუნველყოფს სარედაქციო პოლიტიკის მკაცრ მიუკერძოებლობას, თავად დანიშნავს ახლად შექმნილი არხის მთავარ რედაქტორს და დაკომპლექტებს და გააკონტროლებს სარედაქციო საბჭოს. სარედაქციო საბჭო განსაზღვრავს სტრატეგიულ სარედაქციო მიმართულებებს და დაადგენს სარედაქციო პოლიტიკის და დაბალანსებული მაუწყებლობის წესებს.

„ევრონიუს საქართველო“ მოახდენს ევრონიუსის კონტენტის ტრანსლირებას ადგილობრივი, ქართული მედიაკონტენტის პარალელურად. კერძოდ, „ევრონიუს საქართველო“ გამოიყენებს „ევრონიუსის“ ევროპული რედაქციის მიერ შექმნილ კონტენტს. ამასთან, „ევრონიუსი“ გამოიყენებს თავისი ქართული ფრენჩაიზინგის მიერ დამზადებულ კონტენტს, რომელიც მედიის მხრიდან მზარდი დაინტერესების რეგიონში შეიქმნება.

„გასულ კვირას „ევრონიუს სერბეთის“ და რამდენიმე თვის წინათ „ევრონიუს ალბანეთის“ დაარსების კვალდაკვალ, მოხარული ვართ, განვაცხადოთ სილქნეტთან „ევრონიუს საქართველოს“ დაფუძნების თაობაზე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის ხელმოწერის შესახებ. „ევრონიუსში“ ჩვენ 100-პროცენტიანი პასუხისმგებლობით უზრუნველვყოფთ მიუკერძოებელი ინფორმაციის გავრცელებას. „ევრონიუსი“ დაარსდა 1993 წელს და დაარსების დღიდან სარგებლობს დამოუკიდებელი მედიის აღიარებით. მოუთმენლად ველით „სილქნეტთან“ ჩვენი თანამშრომლობის განვითარებას, რომ წარმოვადგინოთ ახალი მაღალი ხარისხის მედია, რომელიც საქართველოს მაყურებელს მიაწვდის საერთაშორისო ახალ ამბებს ადგილობრივ სიახლეებთან ერთად“, – განაცხადა „ევრონიუსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა მაიკლ პიტერსმა.

„სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი რამიშვილის განცხადებით, „ევრონიუს საქართველო“ იქნება დამოუკიდებელი საინფორმაციო არხი, რომელიც მაუწყებლობას ქართულ ენაზე წარმართავს.

„ევრონიუსთან“ პარტნიორობა ჩვენთვის დიდი პატივია, მაგრამ ასევე დიდი პასუხისმგებლობაც. ეს პროექტი ემსახურება ევროპასა და საქართველოს შორის საინფორმაციო ხიდის აშენებას. „ევრონიუსის“ პრინციპია გააჟღეროს ყველა თვალსაზრისი, ყველა ხმა – All Views, All Voices, All Welcome, რაც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრირების გზაზე“, – განაცხადა „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი რამიშვილმა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„ კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

იარეთ ჩქარი ნაბიჯით

სწრაფი სიარული დღეგრძელობის ხელშემწყობი პირობაა.

მეცნიერებმა გააანალიზეს 50-65 წლის ასაკის ნახევარი მილიონი კაცის მონაცემები და აღმოაჩინეს, რომ ქალბატონები, რომლებიც რეგულარულად დადიოდნენ სწრაფ ტემპში, საშუალოდ 86,7-87,8 წლამდე, ხოლო მამაკაცები 86 წლამდე ცოცხლობდნენ.

იმ მანდილოსანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა, ვინც ნელა დადიოდა – 72,4, მამაკაცებისა კი 64,8 წელი იყო.

აზიური რაციონის სიკეთე

ჭარბი წონის თავიდან აცილება აზიური დიეტით შეიძლება.

ეს დასკვნა მკვლევარებმა გამოიტანეს, რომლებმაც გავრცელებული სიმსუქნის 136 ქვეყნის მოსახლეობის რაციონი შეისწავლეს.

აზიური რაციონის საიდუმლო ბრინჯის დიდი ოდენობით მოხმარებაში მდგომარეობს, რომელიც დიდი ოდენობით უჯროვანასა და სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც დანაყრების შეგრძნებას სწრაფად და დიდი ხნით უზრუნველყოფენ, რაც საკვების ჭარბად მიღებისგან იცავს.

ზეთი – დამცველი

ზეითუნის ზეთი, თურმე, ადამიანს ალცჰაიმერის დაავადებისგან იცავს.

აღმოჩნდა, რომ მისი კომპონენტები თავის ტვინში აუტოფაგიის პროცესს ააქტიურებენ – ასე ეწოდება დაზიანებული უჯრედების განადგურებას, ამ პროცესის შენელება კი სნეულების განვითარების მექანიზმს რთავს.

იცით თუ არა, რომ...

- **მთვარე** მზეზე 400 ათასჯერ სუსტად ანათებს?
- ამერიკელი აცტეკებისა და მაიას ტომის ინდოელები სიმინდს მსხვერპლად ადამიანებს სწირავდნენ?
- ძილის დროს გულისძგერა წუთში 5-10 დარტყმით მცირდება?
- მწვანე სალათა სისხლის შემადგენლობას აუმჯობესებს?
- სამყაროში არსებობს ჩვენი, ირმის ნახტომად წოდებულისნაირი დაახლოებით 100 მილიარდი გალაქტიკა?
- ყოველწლიურად მთვარე დედამიწას დაახლოებით 4 სანტიმეტრით შორდება?

- შვეიცარია ევროპის შუაგულში მდებარე ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ოფიციალური დედაქალაქი არა აქვს – ბერნში მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი სამთავრობო ორგანიზაციაა განთავსებული?
- მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ზებრას ტყავი შავია თეთრი ზოლებით?

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9010; ევრო - 3.2343;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6251;
100 რუბლი - 4.5990; თურქული ლირა - 0.5070;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7041;
1000 სომხური დრამი - 6.0984.

ამინდი 26 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +10, დღე +27
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +28
თბილისი: ღამე +21, დღე +31

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge